	შენიშვნის ავტორი	შინაარსი	საქართველოს ეროვნული ბანკის პოზიცია
	საქართველოს ეროვნული ბანკი	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე**	
		იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 16^1 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი უცვლელი რჩება, მიზანშეწონილია, კანონპროექტიდან ამოღებულ იქნეს ორგანული კანონის 16^1 მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილება და მხოლოდ მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.	**გათვალისწინებულია**

		კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 16^2 მუხლის პირველი პუნქტი გასამართია რედაქციული თვალსაზრისით.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 16^2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. ეროვნული ბანკის რეზოლუციის კომიტეტი (შემდგომში - რეზოლუციის კომიტეტი) იქმნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით. რეზოლუციის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტები. კომიტეტის გადაწყვეტილებით, კომიტეტის შემადგენლობაში შესაძლოა შევიდნენ ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ამასთან, კომიტეტის სხდომას შეიძლება დაესწრონ ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლები ან/და მოწვეული პირები, თუ აღნიშნული პირების დასწრება აუცილებელია საკითხზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. რეზოლუციის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების

			პროცესში ხმის უფლება გააჩნიათ მხოლოდ ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს. რეზოლუციის კომიტეტს თავმჯდომარეობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. რეზოლუციის კომიტეტის შემადგენლობა და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით.

		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად, კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის გაუქმების ნაცვლად, მიზანშეწონილია, ორგანული კანონის 33-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და მან სრულყოფილად ასახოს ბოლო ინსტანციის სესხის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 33[1] მუხლის დებულებები სპეციალური დაფინანსების გაცემის შესახებ. შესაბამისად, კანონპროექტი აღარ საჭიროებს 33[1] მუხლის დამატებას, რომლითაც გათვალისწინებული იყო დებულებები ეროვნული ბანკის მიერ სპეციალური დაფინანსების გაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული დარეგულირდება ორგანული კანონის 33-ე მუხლის რედაქციით, როგორც ბოლო ინსტანციის სესხის ნაწილი.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 33-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 33. ბოლო ინსტანციის კრედიტორი** 1. ამ ორგანული კანონის 31-ე მუხლით ნებადართული სესხების გარდა, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, კომერციულ ბანკზე გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბოლო ინსტანციის სესხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს ეროვნული ბანკის მიერ ამ ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სესხებისთვის დადგენილ საპროცენტო განაკვეთებზე მეტი და იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი აქტივებით. 3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, განსაკუთრებულ შემთხვევებში,

			ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი იმ კომერციულ ბანკზე, რომლის გადახდისუნარიანობა ეჭვის ქვეშ არის. ამ პუნქტით გათვალისწინებული სესხი შეიძლება, გაიცეს მხოლოდ შემდეგი პირობების ერთდროულად დაკმაყოფილების შემთხვევაში: ა) სესხისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას შესაბამისი გადასახდელები, მათ შორის, პირგასამტეხლო; ბ) სესხი უნდა გაიცეს მაქსიმუმ 91 კალენდარული დღის ვადით, რომელიც, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, გაგრძელდეს არაუმეტეს 91 კალენდარული დღით. თუ ფინანსური კრიზისი არ აღმოფხვრილა ან შესაძლოა სრულად არ აღმოიფხვრას ამ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში, ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია სესხი გასცეს ან მისი ვადა გაახანგრძლივოს ამ ქვეპუნქტით დადგენილზე მეტი ვადით; გ) კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი უნდა იყოს ადეკვატური

			რეკაპიტალიზაციის/რეზოლუციის პირობებში, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი გეგმით, რაც მათ შორის მოიცავს დაფინანსების გეგმას; დ) სესხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უპირობო და გამოუთხოვადი გარანტიით. ამასთან, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მოსთხოვოს კომერციულ ბანკს დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენა; ე) ამ პუნქტის შესაბამისად გაცემული სესხის მიმღებ კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის მიერ უნდა დაუწესდეს დამატებითი მოთხოვნები. 4. ეროვნული ბანკის საბჭო განსაზღვრავს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ბოლო ინსტანციის სესხების გაცემის წესებსა და დამატებით პირობებს.“.
		ვინაიდან ცვლილებები განიცადა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი კანონის 30^1 მუხლით გათვალისწინებულმა ადრეული ინტერვენციის მომწესრიგებელმა მუხლმა, ცვლილებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „$თ^2$“ ქვეპუნქტი.	**გათვალისწინებულია:** კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „$თ^2$“ ქვეპუნქტი, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „$თ^2$) კომერციული ბანკის მიმართ გამოიყენოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს

			კანონით განსაზღვრული ადრეული ინტერვენციის ზომა;“;
		სექტორთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების გათვალისწინებით და სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ნაცვლად წარმოდგენილი ფორმულირებისა, უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბ) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არ დაიცვას ამავე კანონის 31-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პრინციპები;“.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში უნდა დაზუსტდეს, რომ ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, შეუზღუდოს მხარეს კომერციულ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებების ადრეული შეწყვეტის უფლებამოსილება შეეხება მხოლოდ კვალიფიციურ ფინანსურ ხელშეკრულებებს.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ვ) დროებით შემოიღოს მორატორიუმის რეჟიმი კომერციული ბანკის ვადამოსულ ვალდებულებებზე ან/და შეუზღუდოს მხარეს კომერციულ ბანკთან გაფორმებულ კვალიფიციურ ფინანსურ ხელშეკრულებებთან მიმართებით ხელშეკრულების ადრეული შეწყვეტის უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობა;“.
		კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი, ტერმინოლოგიური ხასიათის	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 55^2 მუხლის

		ცვლილებებიდან გამომდინარე, საჭიროებს გადამუშავებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად.	პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „კ) განახორციელოს აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ჩამოწერა ან/და საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების (გარდა აქციებისა) კომერციული ბანკის ჩვეულებრივ აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში კონვერტაცია;

		სექტორთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე, კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი საჭიროებს გადამუშავებას.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „პ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის, მათ შორის, მიღებული პრემიის, ცვალებადი ანაზღაურების ან სხვა მსგავსი ტიპის შემოსავლის, ანაზღაურება კომერციული ბანკის იმ აქციონერებისგან, ადმინისტრატორებისგან ან სხვა ისეთი თანამშრომლებისგან, რომელთა ქმედებამ ზიანი მიაყენა კომერციულ ბანკს;“.

		საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე, კანონპროექტით წარმოდგენილ ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტს უნდა დაემატოს „ჟ“ ქვეპუნქტი, რომლიც გაითვალისწინებს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას, მიმართოს სასამართლოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ სარეზოლუციო რეჟიმის შემოღებამდე განხორციელებული ქმედების ან გარიგების სადავოდ გახდისა და მისი ბათილობის მოთხოვნის მიზნით. შესაბამისად, შესწორებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის ნუმერაცია.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი: „ჟ) სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ სარეზოლუციო რეჟიმის შემოღებამდე 1 წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვონ მისი ბათილობა, თუ ამის შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირებმა ამ კომერციული ბანკის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია კომერციული ბანკისათვის ან მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება;“. შესაბამისად, შესწორდა კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55^2 მუხლის პირველი პუნქტის ნუმერაცია.

		კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55^4 მუხლის პირველი პუნქტი საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ, მითითებულ პუნქტში უნდა განისაზღვროს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დროებით სახელმწიფო დაფინანსებას გასცემს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აუცილებელია ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ამასთან, დაფინანსების სხვა არასახელმწიფო წყაროდან (კერძო სექტორიდან) მოძიება შეუძლებელია ან ასეთი დაფინანსება არ არის/არ იქნება საკმარისი. გარდა ამისა, მითითებული პუნქტი გადასამუშავებელია რედაქციული თვალსაზრისით.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55^4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. რეზოლუციის პროცესის დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გასცემს დროებით სახელმწიფო დაფინანსებას, თუ აღნიშნული აუცილებელია ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და დაფინანსების არასახელმწიფო წყაროდან მოძიება შეუძლებელია ან ასეთი დაფინანსება არ არის/არ იქნება საკმარისი. დროებითი სახელმწიფო დაფინანსება შესაძლოა, გაიცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქციონერები და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37^{10} მუხლის მე-10 პუნქტის „ნ“-„ს“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კრედიტორები ლიკვიდაციისას დადგენილ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით მიიღებენ პირველად ზარალს, რეზოლუციის მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით.“.

		კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[4] მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით საჭიროებს გადამუშავებას დროებითი სახელმწიფო დაფინანსების გაცემის ფორმების უკეთ ჩამოყალიბებისა და საკითხთან დაკავშირებით მეტი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, შესასწორებელია მითითებითი ნორმა.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[4] მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დაეთანხმება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დროებით სახელმწიფო დაფინანსებას გასცემს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმით: ა) დროებითი ბანკის კაპიტალში მონაწილეობა; ბ) რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის წილის შეძენა ან/და მისი სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან წარმოშობილი ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების აღება; გ) სარეზოლუციო ფონდის სასარგებლოდ დაფინანსების გამოყოფა ამ კანონის 55[5] მუხლით დადგენილი წესით; დ) სესხის ან/და გარანტიის გაცემა ან/და სხვა ისეთი ფორმით დაფინანსება, მათ შორის პირდაპირი ფორმით, რაც აუცილებელი იქნება რეზოლუციის მიზნებისათვის. 4. თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძენს წილს კომერციული ბანკის კაპიტალში, მან უნდა მიიღოს ყველა ზომა, რომ კომერციული ბანკი

			იმართებოდეს ადეკვატურ კომერციულ და პროფესიულ საფუძვლებზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კომერციული ბანკის აქციების ან საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების შეძენის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს გრძელვადიან პერიოდში ბანკის ფინანსური მდგრადობისთვის საჭირო ქმედებებს, რასაც უნდა ეთანხმებოდეს ეროვნული ბანკი.“.

		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[4] მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებში საჭიროა დაზუსტდეს, რომ დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების შემდგომი ანაზღაურების მიზნით, საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებსა და უცხოური ბანკების ფილიალებს შესაბამისი შენატანების განხორციელების ვალდებულებას სარეზოლუციო ფონდში გადარიცხვის გზით განუსაზღვრავს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სწორედ ამ ორი უწყების ერთობლივი სამართლებრივი აქტით უნდა განისაზღვროს შენატანის დაკისრების კრიტერიუმები და განხორციელების წესი.	**გათვალისწინებულია.** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[4] მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „6. ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების შემდგომი ანაზღაურების მიზნით, საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებსა და უცხოური ბანკების ფილიალებს განუსაზღვრავს შესაბამისი შენატანების განხორციელების ვალდებულებას სარეზოლუციო ფონდში გადარიცხვის გზით. აღნიშნული შენატანი თითოეული კომერციული ბანკისთვის განისაზღვრება ობიექტური და პროპორციული კრიტერიუმების საფუძველზე. პროპორციულობის კრიტერიუმი გულისხმობს შენატანების განხორციელებას ვალდებულებების პროპორციულად, რომელიც არ მოიცავს ისეთ ვალდებულებებს რომლებიც ამავდროულად არის საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტი ან არის დაზღვეული დეპოზიტები. ობიექტურობის კრიტერიუმი მოიცავს ბანკის რისკის პროფილს. 7. შენატანის დაკისრების კრიტერიუმები და განხორციელების წესი განისაზღვრება ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსთა

			სამინისტროს ერთობლივი სამართლებრივი აქტით, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად დაადგენს: შენატანების დაწესების საფუძვლებს, გამონაკლისებს, რისკის პროფილის შემადგენელ ელემენტებს, შენატანის ზედა ზღვარს, პერიოდულობასა და ვადებს. ზედა ზღვრის დადგენისას გაითვალისწინება პრინციპი, რომ შენატანის განხორციელება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს კომერციული ბანკის ლიკვიდობას ან გადახდისუნარიანობას.“.

		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, დაზუსტებას საჭიროებს სარეზოლუციო ფონდის მარეგულირებელი კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[5] მუხლი. კერძოდ, მისი პირველი პუნქტი ერთი მხრივ, ნათლად უნდა განსაზღვრავდეს სარეზოლუციო ფონდის გამოყენების შემთხვევებს, ხოლო, მეორე მხრივ, კანონპროქტით ცხადი უნდა იყოს, რომ სარეზოლუციო ფონდიდან დაფინანსება შესაძლოა გაიცეს არა მხოლოდ რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკზე, არამედ კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების ან შერწყმის სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების ფარგლებში კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების შემძენ სუბიექტზე. კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[5] მუხლის მე-2 პუნქტში დაზუსტებას საჭიროებს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, მართოს სარეზოლუციო ფონდი. კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[5] მუხლის მე-3 პუნქტში მითითება უნდა გაკეთდეს არა ბუღალტრული აღრიცხვის, არამედ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (IFRS). კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[5] მუხლის მე-4 პუნქტი საჭიროებს დაზუსტებას ამავე მუხლის პირველი პუნქტის ცვლილებიდან გამომდინარე, ხოლო მე-5 პუნქტი საჭიროებს რედაქციულ გადამუშავებას. ამასთან, მე-5 პუნქტით უნდა დაზუსტდეს, რომ სარეზოლუციო ფონდის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით უნდა გაიწეროს სარეზოლუციო ფონდში არსებული თანხების ინვესტირებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ თანხების გამოთხოვის შესახებ წესებიც.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[5] მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 55[5]. სარეზოლუციო ფონდი** 1. რეზოლუციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ეროვნული ბანკი ხსნის ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრულ ანგარიშს - სარეზოლუციო ფონდს. სარეზოლუციო ფონდი შესაძლოა, გამოყენებულ იქნას დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, მათ შორის, რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკზე ან დროებით ბანკზე სესხისა ან გარანტიის გაცემის, კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისებისა და დროებითი ბანკის ინსტრუმენტების გამოყენების შემთხვევაში, გადაცემულ ვალდებულებებსა და აქტივებს შორის სხვაობის ანაზღაურების, ასევე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37[8] მუხლის მე-12 პუნქტის ან/და ამავე კანონის 37[9] მუხლის მე-4 პუნქტის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, სესხი ან/და გარანტია შესაძლოა გაიცეს კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების ან შერწყმის სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების ფარგლებში კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების შემძენ სუბიექტზე.

			2. სარეზოლუციო ფონდს მართვასა და ადმინისტრირებას უწევს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს სარეზოლუციო ფონდის გამოყენებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე. სარეზოლუციო ფონდის აქტივების მიმართ დაუშვებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვების, მათ შორის გირავნობის, ყადაღის ან/და აღსრულების გამოყენება. 3. ეროვნული ბანკი ვალდებულია, სარეზოლუციო ფონდის შესახებ ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგებებისგან დამოუკიდებლად. სარეზოლუციო ფონდის ფინანსური ანგარიშგება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. სარეზოლუციო ფონდის აქტივების ღირებულება უნდა აღირიცხოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. 4. სარეზოლუციო ფონდში ირიცხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გასაცემი სესხები, გარანტიები, გრანტები და სხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. სარეზოლუციო ფონდის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად შესაძლოა,

			გამოყენებულ იქნას ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული გარანტია. 5. სარეზოლუციო ფონდის შექმნის, გაუქმებისა და ადმინისტრირების წესი განისაზღვრება ამ კანონის 55[4] მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი სამართლებრივი აქტით. ამ სამართლებრივი აქტით შესაძლებელია, დადგინდეს ასევე, გარკვეული ტრანზაქციებისთვის აუცილებელი თანხმობის მიღების, მათი ანგარიშგების მოთხოვნების, სარეზოლუციო ფონდში არსებული თანხების ინვესტირებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ თანხების გამოთხოვის შესახებ წესები.“.

		კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[6] მუხლის პირველ პუნქტში დაზუსტებას საჭიროებს კომიტეტის უწყებათაშორისი ხასიათი. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს კომიტეტის დასახელება და ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის ნაცვლად ეწოდოს ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტი.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[6] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით იქმნება ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი), რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური კრიზისისა და კრიზისული სიტუაციების მართვის მექანიზმების შემუშავებაზე. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსი და სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი. კომიტეტის გადაწყვეტილებით, კომიტეტის შემადგენლობაში შესაძლოა, სხვა სახელმწიფო/ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებიც შევიდნენ. კომიტეტს თავმჯდომარეობს და წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მისი მოვალეობის შემსრულებელი. კომიტეტის წევრები უფლებამოსილნი არიან, კომიტეტის სხდომებზე მონაწილეობის უფლებამოსილების დელეგირება მოახდინონ სხვა პირებზე.“.

		კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 33-ე მუხლის ზემოთ მითითებული რედაქციიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილების განხორციელებაა საჭირო კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[6] მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[6] მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბ) ადრეულად აცნობოს კომიტეტს კომერციული ბანკის რეზოლუციის, დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ან/და ამ კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ეროვნული ბანკის ბოლო ინსტანციის სესხის საჭიროების თაობაზე.“.
		კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[6] მუხლის მე-7 პუნქტი საჭიროებს ცვლილებას, რათა დაზუსტდეს, რომ ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტის დებულება გამოიცემა თავად კომიტეტის მიერ.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 55[6] მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „7. კომიტეტის საქმიანობა რეგულირდება მისი დებულებით, რომელიც გამოიცემა კომიტეტის მიერ, მისი ყველა წევრის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე. დებულება აწესრიგებს კომიტეტის წევრების მიერ ინფორმაციის გაცვლის პროცედურულ საკითხებს, ასევე, სისტემური რისკების ერთობლივი იდენტიფიცირებისა და ანალიზის, სისტემური რისკ-სცენარების შეფასების წესებს, კრიზისული სიტუაციების წინარე შეფასებისა და მართვის ოპერაციული

			დაგეგმარების, შესაბამისი სიმულაციების ჩატარების პროცედურულ წესებს და კომიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.“.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით ცვლილებებს საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 68-ე მუხლის 5^1 და 5^2 პუნქტები. კერძოდ, სასამართლო უნდა დაეყრდნოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებებს არა მხოლოდ სარეზოლუციო, არამედ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისასაც. ამასთან, უნდა განისაზღვროს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, აღნიშნული ზიანი სარეზოლუციო ფონდიდან არ ანაზღაურდება. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს მიუღებელი შემოსავალის ანაზღაურება. ანაზღაურების ვალდებულება უნდა ეხებოდეს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარ ზიანს. აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა შეესაბამება ევროკავშირის დირექტივასაც (Banking Recovery and Resolution Directive 2014/59/EU), რომლის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლო შეფასებების განხორციელებისას უნდა დაეყრდნოს	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 68-ე მუხლის 5^1 და 5^2 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „5^1. ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო ეყრდნობა ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც შეფასება შეიცავს აშკარა შეცდომას/ხარვეზს. 5^2. რეზოლუციის რეჟიმის შემოღების, რეზოლუციის რეჟიმში მიღებული ან საბანკო საქმიანობის ლიცენზიის

Formatted: Georgian

		ფაქტების რეზოლუციის განმახორციელებელი უწყების მიერ განხორციელებულ კომპლექსურ ეკონომიკურ შეფასებებს. სარეზოლუციო უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება არ უნდა ახდენდეს გავლენას შემდგომ მიღებულ ადმინისტრაციულ აქტებსა და ტრანზაქციებზე, რომლებიც გაუქმებულ გადაწყვეტილებას ეფუძნება. ამ შემთხვევაში, უკანონო გადაწყვეტილების ან ქმედებისათვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ კომპენსაცია იმ ზარალისათვის, რაც მოსარჩელეს მიადგა ასეთი გადაწვეტილების ან ქმედების შედეგად. გარდა ამისა, კანონპროექტით წარმოდგენილი ორგანული კანონის 68-ე მუხლი აღარ საჭიროებს 5[3] პუნქტის დამატებას, ვინაიდან იგივე საკითხი მოწესრიგებულია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით.	გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სასამართლოს მიერ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, რომელიც არ შეიძლება ანაზღაურდეს სარეზოლუციო ფონდიდან.“.
		სექტორთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე, გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული ვადები საჭიროებს ცვლილებებს.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 2.** 1. 2020 წლის 1 ივლისამდე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს: ა) ამ კანონით გათვალისწინებული რეზოლუციის კომიტეტის შექმნა, რეზოლუციის კომიტეტის შემადგენლობისა და მისი საქმიანობის წესის განისაზღვრა; ბ) კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციების ჩამონათვალისა ან/და კრიტერიუმების განსაზღვრა. 2. 2021 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს: ა) ამ კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული

			ეროვნული ბანკის ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის წესისა და სესხის უზრუნველყოფის ფორმისა და პირობების განსაზღვრა; ბ) ამ კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა სამართლებრივი აქტის გამოცემა. 3. 2021 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყონ ერთობლივი სამართლებრივი აქტის გამოცემა: ა) დროებითი სახელმწიფო დაფინანსების გაცემის წესის თაობაზე; ბ) სარეზოლუციო ფონდის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე; გ) დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების შემდგომი ანაზღაურების მიზნით, შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და განხორციელების წესის განსაზღვრა. 4. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს რეზოლუციასთან დაკავშირებული ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების უცხოური ბანკების ფილიალებზე გავრცელების თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემა. 5. 2020 წლის 1 ივლისამდე ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისმა

			კომიტეტმა უზრუნველყოს მისი დებულების მიღება. 6. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სარეზოლუციო ფუნქციების საზედამხედველო და სხვა სახის ფუნქციებისგან ოპერაციული დამოუკიდებლობა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით. 7. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სარეზოლუციო უფლებამოსილებები და ამ კანონის პირველი მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტით გათვალისწინებული 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ²“ ქვეპუნქტით დადგენილი დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღების უფლებამოსილება განახორციელოს 2021 წლის 1 იანვრიდან. 2021 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შემოიღოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი ამ კანონის საფუძველზე გამომდინარე ცვლილების სახით მიღებული „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი წესით.“.

	საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე**	
		„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტით წარმოდგენილი პირველი მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების მიხედვით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საფინანსო სექტორთან დაკავშირებული ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტის პროექტი გამოაქვეყნოს მის დამტკიცებამდე დაინტერესებული მხარეებისაგან კომენტარების მიღების მიზნით. აღნიშნულ ჩანაწერს შემდგომში მოსდევს დაზუსტება, რომ ეს მოთხოვნა არ ეხება ცალკეულ ნორმატიულ აქტებს. აღნიშნულ კონტექსტში მიზანშეწონილია, მკაფიოდ განისაზღვროს გამოქვეყნების საკითხი წარმოადგენს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას თუ მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნას.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „13. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საფინანსო სექტორთან დაკავშირებული ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტის პროექტი გამოაქვეყნოს მის დამტკიცებამდე დაინტერესებული მხარეებისაგან კომენტარების მიღების მიზნით. აღნიშნული არ ეხება იმ ნორმატიული აქტის პროექტს, რომლის მიღება აუცილებელია რეზოლუციის მიზნებისათვის ან/და საფინანსო სექტორის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ან/და რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს.“.
	საქართველოს ეროვნული ბანკი	**„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი**	
		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, დაზუსტებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის პირველი მუხლის „ჰ^{2}“ და „ჰ^{3}“ ქვეპუნქტები, ამასთან გასამართია ტერმინოლოგიური თვალსაზრისით.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის პირველი მუხლის „ჰ^{2}“ და „ჰ^{3}“

			ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ 3^2) რეკაპიტალიზაცია - კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის ზრდა; 3^3) კომერციული ბანკის აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ან/და ვალდებულებების ჩამოწერა - კომერციული ბანკის აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ან/და ვალდებულებების გაუქმება ან მათი ღირებულების შემცირება.“.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის თანახმად, დროებითი ბანკის ლიცენზირებისა და რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის, აგრეთვე საზედამხედველო პროცესში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანხმობის გაცემის გამარტივებული წესები უნდა შეეხებოდეს მხოლოდ პროცედურულ და არა შინაარსობრივ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, შესწორებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის მე-6 მუხლის მე-3, 8^1 მუხლის მე-7 და 37^3 მუხლის მე-4 პუნქტები.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სამართლებრივი აქტით განსაზღვროს დროებითი ბანკის ლიცენზირების გამარტივებული პროცედურები.“; კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 8^1 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „7. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დაადგინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის გამარტივებული პროცედურები.“;

			კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4. რეზოლუციის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სამართლებრივი აქტით დაადგინოს საზედამხედველო პროცესში ამ კანონით გათვალისწინებული თანხმობის გაცემის გამარტივებული წესები სარეზოლუციო ინსტრუმენტების ეფექტური განხორციელებისათვის.“.
		„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტით გათვალისწინებული ორგანული კანონის 33-ე მუხლის შეცვლილი რედაქციიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა განხორციელდეს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-7 მუხლის „ლ^1“ ქვეპუნქტში. ცვლილებას საჭიროებს აგრეთვე კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-7 მუხლის „ლ^2“ ქვეპუნქტი, 30-ე და 30^1 მუხლების შეცვლილი რედაქციიდან გამომდინარე.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-7 მუხლის „ლ^1“ და „ლ^2“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ლ^1) კომერციული ბანკის ფუნქციონირების გაგრძელების მიზნით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ეროვნული ბანკის ბოლო ინსტანციის სესხის საჭიროება; ლ^2) ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომების ან/და 30^1 მუხლის ფარგლებში გატარებული ადრეული ინტერვენციის ზომის უშედეგოდ განხორციელება;“.

		ცვლილებას საჭიროებს წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომებისა და ადრეული ინტერვენციის რეგულირება, ვინაიდან როგორც სექტორთან, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი კონსულტაციებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ უმჯობესია ადრეული ინტერვენციის ზომად განისაზღვროს კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნა, ხოლო წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული ადრეული ინტერვენციის სხვა ზომები გახდეს საზედამხედველო ზომების ნაწილი. შესაბამისად, ცვლილებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის VI თავი, კერძოდ VI თავის სათაური, 30-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 30^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 30^2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი აბზაცი და მე-2 პუნქტი. ამასთან, აღნიშნულ თავში, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ ახალი კანონიდან გამომდინარე, შესასწორებელია ის ნორმები, რომლებიც მითითებას აკეთებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონზე.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის VI თავი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„თავი VI ეროვნული ბანკის საზედამხედველო ზომები, სანქცია (ფულადი ჯარიმა) და ადრეული ინტერვენცია** **მუხლი 30. ეროვნული ბანკის საზედამხედველო ზომები და სანქცია (ფულადი ჯარიმა)** 1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გამოიყენოს ამ მუხლით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია - ფულადი ჯარიმა ბანკის, ბანკის ადმინისტრატორებისა და მაკონტროლებელი პირების მიმართ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობისას: ა) კომერციულმა ბანკმა, მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია: ა.ა) ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან ეროვნული ბანკის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება, მოთხოვნა, წერილობითი მითითება; ა.ბ) რომელიმე პირობა ან შეზღუდვა, რომელიც დართული აქვს საბანკო საქმიანობის ლიცენზიას ან ეროვნული ბანკის შესაბამის დებულებას;

			ა.გ) ანგარიშგების წარდგენის ვადები ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია; ა.დ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები; ა.ე) „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები; ა.ვ) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები; ა.ზ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები, რომლის შედეგად შეაფერხა ეროვნული ბანკის საზედამხედველო ან სარეზოლუციო პროცესი; ბ) კომერციული ბანკი ჩართული იყო ან ჩართულია არაჯანსაღ ან საფრთხის შემქმნელ საბანკო პრაქტიკაში; გ) საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესში (მათ შორის, რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში) გამოვლინდა რისკები; დ) ბანკის ფინანსური მდგომარეობა უარესდება ან მოსალოდნელია, რომ გაუარესდება, რაც მათ შორის, შეიძლება გამოიხატებოდეს კაპიტალის ან ლიკვიდობის მდგომარეობის გაუარესებაში, ლევერიჯის, უმოქმედო სესხების ან რისკის პოზიციების კონცენტრაციის ზრდაში.

			2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის გამოვლენისას, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, თანამიმდევრულად ან არათანმიმდევრულად, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი საზედამხედველო ზომა: ა) კომერციულ ბანკს, ბანკის ადმინისტრატორს ან/და მაკონტროლებელ პირს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება; ბ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა; გ) მოსთხოვოს კომერციულ ბანკს გაჯანსაღების გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ზომის მიღება; დ) მოსთხოვოს ბანკს აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ; ე) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს შიდა პოლიტიკა-პროცედურების, გაჯანსაღების გეგმის, კონტროლის სისტემებისა და სტრატეგიების გადახედვა და გაუმჯობესება, ცვლილებების შეტანა კომერციული ბანკის ბიზნეს სტრატეგიაში ან მფლობელობის ან ორგანიზაციულ სტრუქტურაში; ვ) დააწესოს სპეციალური ღონისძიებები, კომერციულ ბანკს

			შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს გარკვეული ტიპის ოპერაციები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ კომერციულმა ბანკმა უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და საქმიანობის ჯანსაღ პრაქტიკასთან შესაბამისობა და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიიღოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომები, რის თაობაზედაც, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მოსთხოვოს ბანკს შესაბამისი გეგმის წარმოდგენა; ზ) მოსთხოვოს კომერციულ ბანკს სამოქმედო გეგმის შედგენა და განხორციელება, რომელიც, ბანკის გადაწყვეტილებით, შეიძლება მოიცავდეს სასესხო ვალდებულებების პირობებზე მოლაპარაკებების ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერის მიერ ბანკის პრობლემების აღმოფხვრასთან დაკავშირებით ვალდებულებების აღების საკითხებს; თ) მოითხოვოს ან/და ადგილზე შემოწმების შედეგად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც აუცილებელია კომერციული ბანკის რეზოლუციის გეგმის განახლების მიზნით; ი) მოსთხოვოს ბანკს აქტივების დარეზერვებასთან ან კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის

			აქტივებთან დაკავშირებული კონკრეტული მიდგომის გამოყენება; კ) ერთ ან რამდენიმე ადმინისტრატორს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება და კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსაგან, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შემთხვევაში - კომერციული ბანკის აქციონერთა საერთო კრებისგან მოითხოვოს ადმინისტრატორ(ებ)ის თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან თანამდებობიდან გათავისუფლება; ლ) სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატს მოსთხოვოს კომერციული ბანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების განსახილველად და მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მიღება. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ საერთო კრების მოწვევის თაობაზე მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, თავად მოიწვიოს საერთო კრება თავის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და მოსთხოვოს კრებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების განხილვა და მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მიღება; მ) კომერციულ ბანკს შეუჩეროს ან შეუზღუდოს აქტივების ზრდა, მოგების

			განაწილება, დივიდენდებისა და პრემიების გაცემა, ხელფასების გაზრდა და დეპოზიტების მოზიდვა; ნ) კომერციულ ბანკს შეუზღუდოს ან აუკრძალოს გარკვეული სახის საქმიანობა, ოპერაციები, რომელიც გადაჭარბებულ რისკებს ქმნის ან/და ბანკის ჯანსაღ ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის; ო) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს საქმიანობასთან, პროდუქტებთან ან/და სისტემებთან დაკავშირებულ რისკებზე შესაბამისი რეაგირება; პ) კომერციულ ბანკს მოსთხოვოს ცვალებადი ანაზღაურების შემცირება იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კაპიტალის ადეკვატურობის დადგენილი კოეფიციენტების დაცვისა და სხვა ნორმატივების შესრულებისათვის; ჟ) შეუზღუდოს ან/და აუკრძალოს კომერციულ ბანკს აქციონერებისთვის ან/და დამატებითი პირველადი კაპიტალის მფლობელებისთვის კაპიტალის განაწილება ან/და სარგებლის გაცემა; რ) კომერციულ ბანკს განუსაზღვროს საზედამხედველო ანგარიშგებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები; ს) დაუწესოს კომერციულ ბანკს ლიკვიდობის ინდივიდუალური მოთხოვნები, მათ შორის, შეზღუდვები

			აქტივებსა და ვალდებულებებს შორის განსხვავებულ ვადიანობაზე; ტ) კომერციულ ბანკს დაუწესოს გამჟღავნების დამატებითი მოთხოვნები; უ) კომერციულ ბანკს გაუუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია. 3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში საზედამხედველო ზომასთან ერთად ან დამოუკიდებლად დააკისროს კომერციულ ბანკს, მის ადმინისტრატორებს ან/და მაკონტროლებელ პირს სანქცია - ფულადი ჯარიმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალისა. 4. ამ მუხლით განსაზღვრული სანქციის - ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. 5. მხარეს, რომლის მიმართაც საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა) გამოიყენება, აქვს მისი სასამართლოში გასაჩივრების უფლება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში. **მუხლი 30[1]. ადრეული ინტერვენცია** 1. ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან

			რამდენიმე საფუძვლის არსებობისას, თუ საზედამხედველო ზომების გამოყენებამ შედეგი არ გამოიღო ან ეროვნული ბანკის შეფასებით არ იქნება საკმარისი შედეგის მისაღწევად, კომერციული ბანკისა და საფინანსო სექტორის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და კომერციული ბანკის დეპოზიტორთა ან სხვა კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით, ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საზედამხედველო ზომებისგან დამოუკიდებლად ან მასთან/მათთან ერთად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დანიშნოს დროებითი ადმინისტრატორი. დროებითი ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს და ამასთან, სახეზე არ უნდა იყოს ინტერესთა კონფლიქტი. კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს დროებითი ადმინისტრატორის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს. 2. დროებითი ადმინისტრატორი უფლებამოსილია, დროებით იმუშავოს კომერციული ბანკის არსებულ

			ადმინისტრატორებთან ერთად ან ჩაანაცვლოს ისინი. თუ დროებითი ადმინისტრატორი უფლებამოსილებას ახორციელებს კომერციული ბანკის არსებულ ადმინისტრატორებთან ერთად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გარკვეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით არსებულ ადმინისტრატორებს განუსაზღვროს დროებითი ადმინისტრატორისგან თანხმობის მიღების ვალდებულება. დროებითი ადმინისტრატორზე არ გადადის საერთო კრების უფლებამოსილებები. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, დროებითი ადმინისტრატორის გარკვეული გადაწყვეტილებები შესაძლოა, საჭიროებდეს ეროვნული ბანკისგან წინასწარ თანხმობას. წინასწარი თანხმობის მიღების ვალდებულება შესაძლოა, განისაზღვროს როგორც დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნისას, ისე მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების სხვა ეტაპებზე. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გაათავისუფლოს დროებითი ადმინისტრატორი ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი საფუძვლით. 3. დროებითი ადმინისტრატორი ინიშნება არაუმეტეს 1 წლის ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, აღნიშნული ვადა შესაძლოა გახანგრძლივდეს, თუ ეროვნული ბანკის

			შეფასებით დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის საფუძველი არ აღმოფხვრილა. 4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სამართლებრივი აქტით განსაზღვროს დროებითი ადმინისტრატორის უფლებამოსილებები და დანიშვნის წესი. 5. მხარეს, რომლის მიმართაც ადრეული ინტერვენციის ზომა გამოიყენება, აქვს მისი სასამართლოში გასაჩივრების უფლება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში. **მუხლი 30². პროპორციულობის პრინციპი** 1. ეროვნული ბანკის მიერ ამ კანონის 30-ე და 30¹ მუხლების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება პროპორციული უნდა იყოს საზედამხედველო ზომის, სანქციის - ფულადი ჯარიმისა და ადრეული ინტერვენციის ზომის გამოყენების საფუძვლებთან. საზედამხედველო ზომის, სანქციის - ფულადი ჯარიმისა თუ ადრეული ინტერვენციის ზომის მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ეროვნული ბანკი მხედველობაში იღებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ამ კანონის 30-ე და 30¹ მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების

			სერიოზულობას, რომლის ფარგლებშიც ეროვნული ბანკი, მინიმუმ, აფასებს კომერციული ბანკის ფინანსურ მდგომარეობას, კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის დონეს მის რისკებთან მიმართებით, კომერციული ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ამ კანონის 30-ე და 30[1] მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების ეფექტს, მასშტაბს, ოდენობას, მათ ურთიერთმიმართებას, ხანგრძლივობასა და სიხშირეს, ბანკის საქმიანობის კანონიერებას ან/და კომერციული ბანკის აქტივებისათვის ზარალის მიყენების შესაძლო საფრთხეს; ბ) კომერციული ბანკის მზადყოფნასა და რესურსს, აღმოფხვრას ამ კანონის 30-ე და 30[1] მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, რომლის ფარგლებშიც ეროვნული ბანკი, მინიმუმ, აფასებს კომერციული ბანკის ადმინისტრატორების შესაძლებლობას გამოავლინოს, შეაფასოს, მონიტორინგი გაუწიოს და მართოს კომერციული ბანკის რისკები. ეროვნული ბანკი ასევე აფასებს, რამდენად ეფექტიანად ხდება ამ კანონის 30-ე და 30[1] მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრა და რამდენად თანამშრომლობენ კომერციული ბანკი, მისი ადმინისტრატორები და მაკონტროლებელი პირები ეროვნულ ბანკთან;

			გ) რამდენად ექმნება საფრთხე ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას, რომლის ფარგლებშიც ეროვნული ბანკი მხედველობაში იღებს და აფასებს კომერციული ბანკის სისტემურობასა და მის ზომას, ასევე მის ურთიერთმიმართებას საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლებთან, კომერციული ბანკის ფუნქციების ჩანაცვლებადობას, მისი საქმიანობის სფეროებსა და კომპლექსურობას. 2. ეს მუხლი არ ვრცელდება ფულის გათეთრების აღკვეთის ხელშეწყობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისათვის საზედამხედველო ზომის, სანქციის - ფულადი ჯარიმისა და ადრეული ინტერვენციის ზომის გამოყენების შემთხვევებზე.“;
		სექტორთან განხოროციელებული კომუნიკაციის შედეგად, ცვლილება უნდა განხორციელდეს კანონპროექტით წარდგენილი კანონის 31-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თანაზომიერი მოპყრობის პრინციპის დაცვა აქციონერების მიმართ.	**გათვალისწინებულია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 31-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** **მუხლი 31. რეზოლუციის პრინციპები** საქართველოს ეროვნული ბანკი რეზოლუციის რეჟიმს წარმართავს რეზოლუციის შემდეგი პრინციპების დაცვით: ა) კომერციული ბანკის აქციონერები იღებენ პირველად ზარალს. აქციონერების მიმართ

			უზრუნველყოფილი უნდა იქნას მათი ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა;
		სექტორთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე გადასამუშავებელია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 31-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები. ამასთან, საერთაშორისო სტანდარტებსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 31-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, ვინაიდან აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრინციპი უნდა იყოს დაცული რეზოლუციის საბოლოო შედეგის გათვალისწინებით.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 31-ე მუხლის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბ) კომერციული ბანკის კრედიტორები ზარალს იღებენ აქციონერების შემდგომ ლიკვიდაციისას დადგენილ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით, გარდა ამ კანონის 37^9 მუხლით დადგენილი შემთხვევებისა; გ) ერთი და იმავე რიგის კრედიტორების მიმართ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, გარდა ამ კანონის 37^9 მუხლით დადგენილი შემთხვევებისა; დ) რეზოლუციის საბოლოო შედეგით, ამ კანონის 37^9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციების გაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, აქციონერებმა და კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი იზარალებდნენ ლიკვიდაციის შემთხვევაში;“.

		სექტორთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე, კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 31-ე მუხლს საჭიროა დაემატოს პროპორციულობა, როგორც რეზოლუციის რეჟიმის წარმართვის ერთ-ერთი პრინციპი.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 31-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი: „ზ) რეზოლუციის გეგმების შედგენის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები, რეზოლუციის რეჟიმის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილება, ასევე რეზოლუციის რეჟიმის მიმდინარეობისას მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე, უნდა იყოს პროპორციული „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 55[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.“.
		კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებიდან გამომდინარე, საჭიროებს გადამუშავებას.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „თ) ამ კანონის 37[8] მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნების დაწესება და დაცვა.“.

		ანალოგიური ტერმინოლოგიური ცვლილება უნდა განხორციელდეს კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37[8] მუხლის მე-16 პუნქტში.	კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37[8] მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „16. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით დაადგინოს კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებასთან, დაკავშირებული წესები და პირობები, მათ შორის, დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობისათვის საჭირო ფულადი სახსრების გამოთვლის, შეფასების, კონვერტაციის განაკვეთების განსაზღვრის, სამოქმედო გეგმის შედგენის, შეთანხმებისა და განხორციელების საკითხები.“.
		სექტორთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე შესაბამის გადამუშავებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 33-ე მუხლი. კერძოდ, 33-ე მუხლის პირველ პუნქტში, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს, რეზოლუციის რეჟიმის შემოღების თაობაზე გადაწვეტილების მიღების წინაპირობები და აღნიშნული წინაპირობებისაგან გაიმიჯნოს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოწესრიგება, რომელიც მხოლოდ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების თაობაზე გადაწვეტილების მიღების ადმინისტრაციულ პროცესს ასახავს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი საჭიროებს შესწორებას კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 30-ე და 30[1] მუხლების ცვლილებიდან გამომდინარე, ხოლო მე-4 პუნქტში	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 33-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 33. რეზოლუციის პირობები და რეზოლუციის რეჟიმის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება** 1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება კომერციული ბანკის მიმართ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების თაობაზე ლიცენზიის გაუქმების ამ კანონის მე-7 მუხლით (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის

		საჭიროა მითითება გაკეთდეს ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტის შეცვლილ სახელწოდებაზე.	„გ“, „დ“, „ვ“, „თ“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობისას ან/და ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ რეზოლუციის რეჟიმის შემოღება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 55[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეზოლუციის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია. რეზოლუციის რეჟიმის შემოღებამდე, დროისა და სხვა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი აფასებს, რამდენად არსებობს კერძო სექტორის მიერ ან/და ადრეული ინტერვენციის ან/და საზედამხედველო ზომების გამოყენების საშუალებით ამ პუნქტით გათვალისწინებული რეზოლუციის საფუძვლების გონივრულ ვადაში სრულად აღმოფხვრის შესაძლებლობა. 2. ეროვნული ბანკი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე უფლებამოსილია მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოისმინოს რეზოლუციის საფუძვლების აღმოფხვრის თაობაზე ბანკის წინადადებები, თუ ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, მათ

			შორის, საკითხის გადაუდებელი ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის შეფასებით, ეს საფრთხეს არ შეუქმნის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 55[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეზოლუციის მიზნების მიღწევას. 3. ეროვნული ბანკის მიერ ამ კანონის 30-ე და 30[1] მუხლებით განსაზღვრული საზედამხედველო ზომების ან/და ადრეული ინტერვენციის ზომის მიღება არ წარმოადგენს რეზოლუციის რეჟიმის შემოღების აუცილებელ წინაპირობას. 4. რეზოლუციის რეჟიმი შემოღებულად ჩაითვლება ეროვნული ბანკის მიერ მისი შემოღების თაობაზე გადაწყვეტილების ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან. რეზოლუციის რეჟიმის შემოღების თაობაზე ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას რეზოლუციის რეჟიმის შემოღების საფუძვლების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კომერციულ ბანკსა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორის კომიტეტს. რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება

			უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. რეზოლუციის რეჟიმის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ სხვა ინფორმაცია კონფიდენციალურობის წესების დაცვით ქვეყნდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. დაინტერესებული პირები ინფორმირებულად ჩაითვლებიან რეზოლუციიის რეჟიმის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილების ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად.“.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი მოკლებულია სამართლებრივ დატვირთვას და ამოსაღებია. შესაბამისად, შესასწორებელია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 34-ე მუხლის ნუმერაცია.	**გათვალისწინებულია**
		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ სპეციალური მმართველის უფლებამოსილებათა მომწესრიგებელი დებულებებს უნდა დაემატოს სპეციალური მმართველის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილება.	**გათვალისწინებულია:** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 35-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი: „3. კომერციული ბანკის სპეციალური მმართველი უფლებამოსილია, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ სპეციალური მმართველის დანიშვნის თარიღამდე 1 წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვონ მისი ბათილობა, თუ ამის შედეგად

			კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირებმა ამ კომერციული ბანკის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია კომერციული ბანკისათვის ან მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება.“. შესაბამისად შესწორდა მუხლის ნუმერაციაც.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე, გადამუშავებას საჭიროებს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37[1] მუხლი, რათა უკეთ განისაზღვროს რეზოლუციის რეჟიმის შემოღებისა და მისი მიმდინარეობისას განხორციელებული სხვადასხვა შეფასების მიზანი, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები და დამოუკიდებელი შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები დამატებითი სარეზოლუციო ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით.	**გათვალისწინებულია:** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37[1] მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 37[1]. ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასება** 1. რეზოლუციის რეჟიმის შემოღებაზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, კერძოდ, ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის გაუქმების საფუძვლების არსებობის დასადგენად, ეროვნული ბანკი აღრიცხავს კომერციული ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს ბუღალტრული აღრიცხვისა და პრუდენციული საზედამხედველო მოთხოვნების შესაბამისად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს ამ პუნქტით გათვალისწინებული შეფასება. დამოუკიდებელი შეფასების არარსებობა ხელს არ უშლის ეროვნულ ბანკს ამ

			კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებაში. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აღრიცხვასთან ერთად, კომერციული ბანკის მიმართ სათანადო სარეზოლუციო უფლებამოსილებებისა და ინსტრუმენტ(ებ)ის შერჩევის, აგრეთვე ამ ინსტრუმენტების პირობების განსაზღვრის მიზნით, ხორციელდება ბანკის აქტივების, მათ შორის აქტივებზე დარიცხული ზარალისა და ვალდებულებების შეფასება (სრულყოფილი შეფასება). შეფასების რამდენიმე მეთოდის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ის მეთოდი, რომლის შედეგადაც მიიღება შეფასების ყველაზე ნაკლები ღირებულება (კონსერვატიული მიდგომა). 3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული შეფასება ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის თაობაზე, ლიკვიდაციის შემთხვევაში რა ოდენობის ზარალს მიიღებდნენ ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების მფლობელები (აქციონერები) და ამ კანონის 37^{10} მუხლით განსაზღვრული კრედიტორთა თითოეული რიგი. აღნიშნული შეფასება არ გამოიყენება იმ კომპენსაციების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, რაც შესაძლოა გაიცეს კრედიტორებზე ან/და აქციონერებზე, თუ შეფასების

			საფუძველზე დადასტურდება, რომ კრედიტორები ან/და აქციონერები იმაზე ნაკლებ ზარალს მიიღებდნენ ლიკვიდაციის დროს, ვიდრე მათ იზარალეს რეზოლუციის შედეგად. 4. ეროვნული ბანკი ნიშნავს დამოუკიდებელ შემფასებელს ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასებების განსახორციელებლად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასებები, თუ შეფასების დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განხორციელება შეუძლებელია შესაბამის გარემოებათა, მათ შორის საკითხის გადაუდებელი ხასიათიდან გამომდინარე ან საფრთხე ემუქრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 55[1] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეზოლუციის მიზნების შესრულებას. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შემოიღოს რეზოლუციის რეჟიმი, მიიღოს ნებისმიერი სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება და განახორციელოს სარეზოლუციო უფლებამოსილებები შუალედური შეფასების საფუძველზე. თუ შუალედური შეფასება ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიზნით, ეროვნულმა ბანკმა უნდა გაითვალისწინოს

			დამატებითი დანაკარგების რეზერვი, შესაბამის დასაბუთებასთან ერთად. 5. ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი შეფასების განხორციელების შემდგომ, მათ შორის შუალედური შეფასების განხორციელების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ვალდებულია შესაძლებლობისთანავე უზრუნველყოს შეფასების განხორციელება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. დამოუკიდებელი შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს დამატებითი სარეზოლუციო უფლებამოსილებები, მათ შორის, გაზარდოს აქციონერთა და კრედიტორთა მიერ მისაღები ზარალის ოდენობა, აღადგინოს ჩამოწერილ მოთხოვნათა ნაწილი, დამატებით გადასცეს აქტივები ან/და ვალდებულებები, ან დაიბრუნოს უკვე გადაცემული აქტივები ან/და ვალდებულებები, გაზარდოს ან შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რაც გადახდილ იქნა აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების ინსტრუმენტის გამოყენებისას ან დროებითი ბანკის გასხვისებისას. 6. ეროვნული ბანკი ადგენს ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასებების განხორციელების წესებს, პროცედურებსა და მეთოდოლოგიას, მათ შორის, დამოუკიდებელი

			შემფასებლის მიერ გასათვალისწინებელ კონსერვატიულ დათქმებსა და დამოუკიდებელი შემფასებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. 7. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასებები სარეზოლუციო ინსტრუმენტის ან/და უფლებამოსილების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია. მათი გასაჩივრება დასაშვებია მხოლოდ გადაწყვეტილებასთან ერთად „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.“.
		კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37^2 მუხლის სათაური და პირველი-მე-4 მუხლები საჭიროებს ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად.	**გათვალისწინებულია:** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^2 მუხლის სათაური და პირველი-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 37^2. რეკაპიტალიზაცია აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ჩამოწერის ან მათი აქციებში კონვერტაციის გზით** 1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ჩამოწეროს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციები ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტები ან აღნიშნული ინსტრუმენტები გადააკონვერტიროს კომერციული ბანკის აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში. ეს უფლებამოსილება შესაძლოა,

			გამოყენებულ იქნას დამოუკიდებლად ან სხვა სარეზოლუციო ინსტრუმენტებთან ერთად. 2. ამ კანონის 31-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რეზოლუციის პრინციპების შესრულების მიზნით, აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ჩამოწერა ან აღნიშნული ინსტრუმენტების აქციებში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს იმ სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებამდე, რომლის შედეგადაც სხვა კრედიტორები (გარდა აქციონერებისა და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების მფლობელებისა) მიიღებდნენ პირველად ზარალს. ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა აღნიშნული უფლებამოსილება არ გამოიყენოს იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება კომერციული ბანკის აქტივებისა ან/და ვალდებულებების ნაწილობრივი გადაცემა და კომერციული ბანკის ბალანსზე დარჩენილი აქციებისა და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ღირებულება დაფარავს არსებულ ზარალს. 3. საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების ჩამოწერა ან მათი აქციებში კონვერტაცია უნდა დაეფუძნოს კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების

			ღირებულების შეფასებას ამ კანონის 37^1 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით. 4. ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს ლიკვიდაციის პროცესში დადგენილ მოთხოვნათა რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით, რათა უზრუნველყოს: ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ნომინალური ღირებულების შემცირება ზარალის პროპორციულად ან/და საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების მათი გაუქმება, ან/და გადაცემა; ან/და ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტების გარდა, საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ნომინალური ღირებულების შემცირება ან/და კომერციული ბანკის ჩვეულებრივ აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში კონვერტაცია.“.
		კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^3 მუხლის მე-2 პუნქტი გადასამუშავებელია, კერძოდ, მასში მითითება უნდა გაკეთდეს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონზეც.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენება არ საჭიროებს კომერციული ბანკის/დროებითი ბანკის აქციონერების, მოვალეების, კრედიტორებისგან

			თანხმობის მიღებას, ისევე როგორც ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებამდე რაიმე სახის წინასწარი შეტყობინების, გამოქვეყნების, ან/და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში პროსპექტის დამტკიცებას.“.
		კანონპროექტით წარმოდგენილ, კანონის 37^3 მუხლს საჭიროა დაემატოს მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება ცვლილებები შეიტანოს მისაღებ ან მიღებულ სარეზოლუციო ინსტრუმენტთან მიმართებით ან ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება სხვა სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი შინაარსის დებულება გათვალისწინებული იყო კანონპროექტით წარმოდგენილ, კანონის 37^1 მუხლში, თუმცა ეს უკანასკნელი ეხება ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასებას. შესაბამისად, შინაარსობრივად მითითებული ნორმა უნდა აისახოს კანონის 37^3 მუხლში, რომელიც ეროვნული ბანკის სარეზოლუციო ინსტრუმენტებს არეგულირებს.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^3 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი: „5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ცვლილებები შეიტანოს მისაღებ ან მიღებულ სარეზოლუციო ინსტრუმენტთან მიმართებით ან ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება სხვა სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების თაობაზე.“.
		მეტი სიცხადისათვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად, ტექნიკური ხასიათის ცვლილებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^5 მუხლის მე-4 პუნქტი, რათა ცხადი გახდეს, რომ გასხვისების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა/პროცედურისა.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4. გასხვისების გადაწყვეტილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა/პროცედურისა. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების შემძენი წარმოადგენს კომერციული ბანკის აქციონერს, ხოლო აქტივებისა ან/და

			ვალდებულებების შემძენი წარმოადგენს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის უფლებამონაცვლეს თითოეულ გასხვისებულ აქტივთან და ვალდებულებასთან მიმართებით. თუ შემძენი არ აკმაყოფილებს საგადახდო, საკლირინგო და ანგარიშსწორების სისტემებში მონაწილეობის ან საფონდო ბირჟაზე დაშვებისათვის დადგენილ კრიტერიუმებს, მისი დაშვება აღნიშნულ სისტემებზე/საფონდო ბირჟაზე შესაძლებელია ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით გაგრძელდეს არაუმეტეს 24 თვისა.“.
		სექტორთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე, გადასამუშავებელია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^5 მუხლის მე-8 პუნქტი, რათა დაზუსტდეს, რომ აქციების, აქტივებისა ან/და ვალდებულებების გასხვისების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნას გასხვისების ფასის შეძლებისდაგვარად მაქსიმიზაცია.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^5 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „**8.** აქციების, აქტივებისა ან/და ვალდებულებების გასხვისების პროცესი უნდა წარიმართოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და არადისკრიმინაციული ფორმით, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას გასხვისების ფასის შეძლებისდაგვარად მაქსიმიზაცია და ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა. აღნიშნული არ გამორიცხავს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას ერთ პირთან შეთავაზების გზით გაასხვისოს ბანკის აქციები, აქტივები ან/და

			ვალდებულებები იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად შესაძლოა შეფერხდეს რეზოლუციის რეჟიმის ეფექტიანობა და საფრთხე შეექმნას რეზოლუციის მიზნების შესრულებას.“.
		სექტორთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე, გადასამუშავებელია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^5 მუხლის მე-10 პუნქტი, რათა დაკონკრეტდეს, რომ კომერციული ბანკის აქციების გასხვისება უნდა წარიმართოს აქციონერების წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^5 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „10. კომერციული ბანკის აქციების გასხვისება უნდა განხორციელდეს აქციონერების წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.“.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე, უმჯობესია ,კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^6 მუხლში გათვალისწინებული იყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილება რეზოლუციის დაწყებამდე დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, რომელიც რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შემდგომ, ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიის გაცემისთანავე იმოქმედებს, როგორც დროებითი ბანკი. ამასთან, ყველა შესაბამისი ორგანო უნდა უზრუნველყოფდეს დროებითი ბანკის დაფუძნებისათვის საჭირო გადაწყვეტილებათა დროულად მიღებას.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. ამ მუხლით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აფუძნებს დროებით ბანკს გადაცემული აქციების, აქტივებისა ან/და ვალდებულებების შემდგომში გასხვისების მიზნით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია რეზოლუციის დაწყებამდე დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, რომელიც რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შემდგომ, ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიის გაცემისთანავე იმოქმედებს, როგორც დროებითი ბანკი. შესაბამისმა უწყებებმა და მარეგისტრირებელმა ორგანოებმა

			უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა დროებითი ბანკის დაფუძნების პროცესის დროულად დასრულებისათვის.“.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე, მეტ სიცხადესა და დეტალიზაციას საჭიროებს დროებით ბანკთან დაკავშირებული რეგულირება, შესაბამისად ცვლილებებს საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37[6] მუხლის მე-5-მე-8 პუნქტები.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37[6] მუხლის მე-5-მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „5. ეროვნული ბანკი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დროებით ბანკზე საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე შემჭიდროებულ ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვისა. გადაწყვეტილებაში მიეთითება დროებითი ბანკისათვის ნებადართული საქმიანობების ჩამონათვალი. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სამართლებრივი აქტით განსაზღვროს დროებითი ბანკის ლიცენზირების წესი, მათ შორის, ლიცენზირების გამარტივებული პროცედურები და დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს ლიცენზიის გაცემის შემდეგ. 6. დროებითი ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ფინანსური სექტორის სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, გაათავისუფლოს დროებითი ბანკი საზედამხედველო

			კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნის დაცვისგან ლიცენზიის გაცემიდან არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში. დროებითი ბანკის სადამფუძნებლო დოკუმენტები, სტრატეგია და რისკის პროფილი, აგრეთვე დროებითი ბანკის ადმინისტრატორების ანაზღაურება და მათი მოვალეობები თანხმდება ეროვნულ ბანკთან. 7. დროებითი ბანკის ადმინისტრატორები უნდა აკმაყოფილებდნენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს. ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ შეიძლება დანიშნულ იქნას დროებითი ბანკის ადმინისტრატორად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გასცეს მითითებები დროებითი ბანკის ადმინისტრატორებზე, რეზოლუციის მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად. 8. დროებითი ბანკი უნდა იმართებოდეს პროფესიული და კომერციული საფუძვლებით. დროებითი ბანკი არ წარმოადგენს მუდმივ ინსტრუმენტს და მისი აქციების, აქტივებისა ან/და ვალდებულებების გასხვისება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში. ამ მიზნით დროებითმა ბანკმა ეროვნული ბანკის ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე უნდა შეიმუშავოს და

			განახორციელოს დროებითი ბანკის ბაზრიდან გასვლის გეგმა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია დროებითი ბანკის სხვა კომერციულ ბანკთან შერწყმა, დროებითი ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ გასხვისება, ასევე, დროებითი ბანკის რეკაპიტალიზაცია, მათ შორის ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით.“.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე, კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^6 მუხლის მე-11 პუნქტში დაზუსტებას საჭიროებს კანონის 37^5 მუხლის ის პუნქტები, რომლებიც არ გამოიყენება დროებითი ბანკისათვის აქტივების ან/და ვალდებულებების გადაცემისას.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^6 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „11. დროებითი ბანკისათვის აქტივების ან/და ვალდებულებების გადაცემისას, გამოიყენება ამ კანონის 37^5 მუხლით დადგენილი წესი, გარდა ამავე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნებისა.“.
		ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^7 მუხლის მე-3 პუნქტი, მათ შორის, მითითებითი ნორმის შესწორების მიზნით.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. კომერციული ბანკის აქციონერებისა და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების მფლობელთა მიერ ზარალის უპირველესად მიღების რეზოლუციის პრინციპიდან გამომდინარე, ახალი აქციების გამოშვებამდე ეროვნულმა ბანკმა უნდა განახორციელოს საზედამხედველო

			კაპიტალის ინსტრუმენტების ჩამოწერა ან მათი აქციებში კონვერტაცია ამ კანონის 37^2 მუხლის შესაბამისად.“.
		გადასამუშავებელია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^8 მუხლის მე-3 პუნქტი, რათა მასში ასახული იყოს არა მარტო ამავე მუხლის მე-5, არამედ მე-6 პუნქტით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევებიც.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებისას, ვალდებულებების ჩამოწერა ან კონვერტაცია ხორციელდება ლიკვიდაციისას დადგენილი მოთხოვნათა რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. თუ კრედიტორთა შესაბამისი რიგი არ ექვემდებარება ვალდებულებების სრულად ჩამოწერას ან კონვერტაციას, ჩამოწერა ან კონვერტაცია უნდა განხორციელდეს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.“.
		სექტორთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე, შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელდეს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^8 მუხლის მე-6 პუნქტში, კერძოდ, უნდა დაზუსტდეს, რომ ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების გარდა კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის მოქმედების ფარგლებიდან	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^8 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების გარდა კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან

		ნაწილობრივ ან სრულად გამორიცხოს სხვა ვალდებულებები ამავე კანონის 37^{9} მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე პირობის არსებობის შემთხვევაში.	კონვერტაციის გზით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის მოქმედების ფარგლებიდან ნაწილობრივ ან სრულად გამორიცხოს სხვა ვალდებულებები, თუ მისი შეფასებით სახეზეა ამ კანონის 37^{9} მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე პირობა.“.
		ტექნიკური და ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებებს საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37^{8} მუხლის მე-9 პუნქტი, მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-12 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^{8} მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „9. ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტი შესაძლოა გამოყენებულ იქნას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქციების მიმართ, თუ ვალდებულებების აქციებში კონვერტაცია განხორციელდა რეზოლუციის რეჟიმის შემოღებამდე ან ამ კანონის 37^{2} მუხლის საფუძველზე აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ჩამოწერის ან აღნიშნული ინსტრუმენტების აქციებში კონვერტაციის შემდგომ.“; კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^{8} მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ა) ლიკვიდაციისას დადგენილ მოთხოვნათა დაკმაყოფილების

			რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით ნულამდე შეამცირებს აქციების ან/და საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების ან/და ვალდებულებების ნომინალურ ღირებულებას იმ ზღვრამდე, როდესაც ბანკის სააქციო კაპიტალი მიაღწევს ნულს. ვალდებულებები უნდა შემცირდეს მაქსიმალური ოდენობით;"; კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^8 მუხლის მე-12 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების ან საზედამხედველო კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების შეძენის გზით.".
		სექტორთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე, გადასამუშავებელია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^9 მუხლი, რათა უკეთ იყოს ფორმულირებული სამართლებრივი გარანტიები. კერძოდ, 37^9 მუხლის პირველ-მე-3 პუნქტებში უნდა დაზუსტდეს ლიკვიდაციისას დადგენილ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობისა და ერთი და იმავე რიგის კრედიტორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპებიდან გადახვევის შესაძლებლობა და ის სარეზოლუციო ინსტრუმენტები და პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში დასაშვებია მითითებული პრინციპებიდან გადახვევა. გასათვალისწინებელია, რომ რეზოლუციის რეჟიმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს შემდეგი: კომერციული ბანკის	**გათვალისწინებულია:** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^9 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 37^9. რეზოლუციის სამართლებრივი გარანტიები** 1. სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენებისას ეროვნული ბანკი იყენებს ლიკვიდაციისას დადგენილ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობას ამ კანონის 37^8 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი გამონაკლისის გათვალისწინებით. ეროვნული ბანკი

		აქციონერებმა და კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი იზარალებდნენ კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მითითებული პრინციპი დაცული უნდა იქნეს რეზოლუციის საბოლოო შედეგით. აღნიშნულის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით, კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37^{9} მუხლის მე-4 პუნქტი საჭიროებს გადამუშავებას. სექტორთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე, გადასამუშავებელია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^{9} მუხლის მე-5 პუნქტი, რათა უკეთ მოწესრიდგეს აქციონერების ან/და კრედიტორების კომპენსაციის მიღების უფლების განსაზღვრისას შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 37^{9} მუხლის მე-7 პუნქტში კი საჭიროა ტერმინოლოგიური ცვლილება.	უფლებამოსილია, არ დაიცვას აღნიშნული პრინციპი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. 2. სარეზოლუციო უფლებამოსილებების გამოყენებისას ეროვნული ბანკის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას თანაბარი მოპყრობა ერთი და იმავე რიგის კრედიტორთა მიმართ ამ კანონის 37^{8} მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი გამონაკლისის გათვალისწინებით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, არ დაიცვას აღნიშნული პრინციპი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. 3. ამ კანონის 37^{5} და 37^{6} მუხლებით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენებისას და ამ კანონის 37^{8} მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, არ დაიცვას ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული პრინციპები, თუ სახეზეა ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე პირობა: ა) ეროვნული ბანკის მცდელობის მიუხედავად შეუძლებელია სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენება გონივრულ ვადაში; ბ) აუცილებელი და პროპორციულია ბანკის კრიტიკული ფუნქციებისა და ძირითადი საქმიანობის შენარჩუნებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას რეზოლუციის

			რეჟიმში მყოფი ბანკის ძირითადი ოპერაციების, მომსახურებებისა და ტრანზაქციების უწყვეტობა; გ) აუცილებელი და პროპორციულია ფინანსური სირთულეებისა და საფრთხეების ფინანსური სექტორის სხვა მონაწილეებზე გადადების რისკების შემცირების მიზნისთვის; დ) სხვა კრედიტორები იმაზე მეტად იზარალებენ, ვიდრე ისინი იზარალებენ ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული პრინციპების დაცვის შემთხვევაში. 4. კომერციული ბანკის აქციონერებმა და კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი იზარალებდნენ ლიკვიდაციის შემთხვევაში. აღნიშნული პრინციპი დაკმაყოფილებული უნდა იქნას რეზოლუციის საბოლოო შედეგით. თუ რეზოლუციის შემდგომ შეფასების შედეგად დადასტურდება, რომ აქციონერები ან/და კრედიტორები იმაზე ნაკლებად იზარალებდნენ ლიკვიდაციის დროს, ვიდრე მათ იზარალეს რეზოლუციის შედეგად, ისინი უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ფულადი კომპენსაცია. ფულადი კომპენსაცია გადახდილ უნდა იქნეს სარეზოლუციო ფონდიდან. 5. აქციონერების ან/და კრედიტორების კომპენსაციის მიღების უფლებისა და მისი ოდენობის შეფასების მიზნით, სარეზოლუციო უფლებამოსილებების

			გამოყენების შემდგომ, რეზოლუციის რეჟიმის დასრულებამდე შეფასება ხორციელდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. აღნიშნული შეფასება განსხვავდება ამ კანონის 37[1] მუხლით გათვალისწინებული შეფასებისაგან. ეროვნული ბანკი ადგენს ამ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების წესს, პროცედურებსა და მეთოდოლოგიას, მათ შორის, დამოუკიდებელი შემფასებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შეფასების ფარგლებში გამორიცხული უნდა იქნას ყველა სახის არსებული და პოტენციური ფინანსური დახმარება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომერციულ ბანკს შეეძლო მიეღო სესხი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლისა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად), როგორც სახელმწიფოს, ისე ეროვნული ბანკის მიერ. 6. ვალდებულებების გადაცემის შემთხვევაში, დაუშვებელია უზრუნველყოფისა და ვალდებულების განცალკევება. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ეფექტური რეზოლუციის მიზნით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გააცალკევოს ვალდებულება და მისი უზრუნველყოფა იმ პირობით, რომ უზრუნველყოფა ჩანაცვლებული იქნება სხვა მსგავსი ფორმისა და ღირებულების

			უზრუნველყოფით ან/და ფინანსური კომპენსაცია იქნება გადახდილი. ფინანსური გირავნობის ხელშეკრულებები და ურთიერთგაქვითვის შეთანხმებები, რომელთაც ერთი და იგივე კონტრაჰენტები ჰყავთ და ურთიერთგაქვითვის ერთი და იმავე ვალდებულების საგანია, არ შეიძლება განცალკევდნენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია რეზოლუციის მიზნებისათვის. 7. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დააწესოს შეზღუდვა ფინანსური გირავნობის ხელშეკრულებისა და ურთიერთგაქვითვის შეთანხმების ადრეული შეწყვეტის უფლებებზე, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგ პირობების დაცვა: ა) შეზღუდვა უნდა შეეხოს მხოლოდ იმ უფლებებს, რომლებიც წამოიშვა ხელშეკრულების/შეთანხმების შესაბამისი პირობების თანახმად მხოლოდ რეზოლუციის რეჟიმის შემოღების ან/და სარეზოლუციო უფლებამოსილებების გამოყენების საფუძველზე; ბ) შეზღუდვა შესაძლოა, გაგრძელდეს არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა; გ) ხელშეკრულებების/შეთანხმებების შემძენი მხარისთვის გადაცემისას, აღნიშნული ხელშეკრულებებიდან/შეთანხმებებიდან გამომდინარე ადრეული შეწყვეტის

			უფლებები აგრძელებს მოქმედებას შემძენ მხარესთან მიმართებით მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში; დ) კონტრაჰენტს უფლება აქვს განახორციელოს ადრეული შეწყვეტის უფლებამოსილება ამ მუხლით განსაზღვრული შეზღუდვის ამოწურვისთანავე ან იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი შეატყობინებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების/შეთანხმების მესამე მხარისთვის გადაცემა არ განხორციელდება.“.
		კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37^{10} მუხლის მე-7 პუნქტში კანონის მოქმედი ჩანაწერის მსგავსად მითითებაა დროებით ადმინისტრატორზეც, თუმცა რეზოლუციისა და ადრეული ინტერვენციის შეცვლილი ჩარჩოს გათვალისწინებით დროებითი ადმინისტრატორის უფლებამოსილების ლიკვიდაციის მომწესრიგებელ მუხლში გათვალისწინება მიზანშეუწონელია.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37^{10} მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „7. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ ლიკვიდატორის დანიშვნის თარიღამდე 1 წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვონ მისი ბათილობა, თუ ამის შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირებმა ამ კომერციული ბანკის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც

			გამოიწვია კომერციული ბანკისათვის ან მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება.“.
		საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის სამართლებრივად გამართულად ჩამოყალიბების მიზნით, კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37^{10} მუხლის მე-10 პუნქტის პირველი აბზაცი და „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები საჭიროებს გადამუშავებას.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი, კანონის 37^{10} მუხლის მე-10 პუნქტის პირველი აბზაცი და „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს ფინანსური გირავნობის მოგირავნეს აქვს ფინანსური გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანამიმდევრობით: ა) სარეზოლუციო ფონდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გარდა ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა დაფინანსების ფარგლებში (გარდა სარეზოლუციო ფონდის საშუალებით განხორციელებული დროებითი სახელმწიფო დაფინანსებისა), ეროვნული ბანკი, სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც კომერციულ ბანკს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოეშვა

			ვალდებულება, გარდა სხვა კომერციული ბანკების მიერ ლიკვიდაციის პერიოდში გაცემული სესხებისა. ამასთანავე, საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოიშვა, დაკმაყოფილდება ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რიგითობით; ბ) დაზღვეული დეპოზიტები „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული ანაზღაურებადი ოდენობის ზღვრის ფარგლებში ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მოთხოვნები, მათ შორის „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები;“.
		სექტორთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე, გარდამავალი დებულებებით ეროვნული ბანკის მიერ მისაღები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემისათვის გათვალისწინებული და გაჯანსაღებისა და რეზოლუციის გეგმების შემუშავების ვადები საჭიროებს ცვლილებებს.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტის მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 2.** 1. 2020 წლის 1 ივლისამდე ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს: ა) ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასების წესების, პროცედურებისა და მეთოდოლოგიის, მათ შორის, დამოუკიდებელი შემფასებლის

			საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა; ბ) დროებითი ბანკის ლიცენზირების წესის (განსხვავებული ან/და გამარტივებული პროცედურების) განსაზღვრა; გ) რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის გამარტივებული/განსხვავებული პროცედურების დადგენა; დ) რეზოლუციის მიზნებიდან გამომდინარე, საზედამხედველო პროცესში ამ კანონით გათვალისწინებული თანხმობის გაცემის გამარტივებული წესების განსაზღვრა სარეზოლუციო ინსტრუმენტების ეფექტური განხორციელებისათვის; ე) გაჯანსაღების გეგმასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნებისა და წესების, აგრეთვე შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრა იმ ბანკებისთვის, რომელთაც ზომის, სისტემურობისა და რისკის პროფილის გათვალისწინებით შესაძლოა, გაჯანსაღების დაგეგმვასთან დაკავშირებით გამარტივებული/განსხვავებული მოთხოვნები განესაზღვროთ. 2. 2021 წლის 1 იანვრამდე ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს: ა) სარეზოლუციო დაგეგმვასთან დაკავშირებით დამატებითი ან/და

			გამარტივებული მოთხოვნებისა და წესების, აგრეთვე შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრა იმ კომერციული ბანკებისთვის, რომელთაც ზომის, სისტემურობისა და რისკის პროფილის გათვალისწინებით შესაძლოა სარეზოლუციო დაგეგმვასთან დაკავშირებით გამარტივებული მოთხოვნები დაუწესდეთ; ბ) დროებითი ბანკის მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების დადგენა, ასევე, დროებითი ბანკის ბაზრიდან გასვლის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული წესებისა და პირობების განსაზღვრა, დროებითი ბანკის ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენა; გ) სპეციალური მმართველის დანიშვნის წესის, სპეციალური მმართველის პასუხისმგებლობა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხების, სპეციალური მმართველის შესაფერისობის კრიტერიუმების განსაზღვრა; დ) კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით რეკაპიტალიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებასთან დაკავშირებული წესებისა და პირობების დადგენა; ე) ახალი აქციების გამოშვების გზით რეკაპიტალიზაციის პირობების დადგენა;

			ვ) ამ კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა სამართლებრივი აქტის გამოცემა; ზ) დროებითი ადმინისტრატორის უფლებამოსილებებისა და დანიშვნის წესის განსაზღვრა. **მუხლი 3.** 1. კომერციულმა ბანკებმა ამ კანონით გათვალისწინებული გაჯანსაღების გეგმები უნდა შეიმუშავონ 2021 წლის 1 იანვრამდე. 2. ეროვნულმა ბანკმა ამ კანონით განსაზღვრული რეზოლუციის გეგმები სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკებისათვის უნდა შეიმუშავოს 2022 წლის 1 იანვრამდე. 3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს გაჯანსაღებისა და რეზოლუციის გეგმების შემუშავების ვადები იმ კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკებს. 4. ეროვნულმა ბანკმა სარეზოლუციო უფლებამოსილებები განახორციელოს 2021 წლის 1 იანვრიდან.
		ვინაიდან კანონპროექტით ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებათა განხორციელება გათვალისწინებულია 2021 წლის 1 იანვრიდან, იმ მიზნით, რომ ეროვნული ბანკი გარდამავალ პერიოდში არ დარჩეს სარეზოლუციო უფლებამოსილებათა გარეშე, საჭიროა კანონის მოქმედი ინსტრუმენტი - დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი მოქმედებდეს 2021 წლის 1 იანვრამდე.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტის მე-4 და მე-5 მუხლები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 4.** 1. 2021 წლის 1 იანვრამდე ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული წესით შემოიღოს

		ამასთან დაკავშირებით საჭიროა კანონის ამოქმედების ვადების განსხვავებულად განსაზღვრაც.	დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი იმ კომერციული ბანკის მიმართ, რომელსაც აქვს ან შეიძლება შეექმნას მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები (რაც შეიძლება გამოიხატოს მოგებიანობის სუსტი მაჩვენებლებით, საზედამხედველო კოეფიციენტების დარღვევით), ან რომელიც გადახდისუუნაროა, ან რომლის რისკების სუსტი მართვის მოდელმა და არაჯანსაღი საქმიანობის პრაქტიკამ (რაც შეიძლება გამოიხატოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, შიდა კონტროლის სისტემების არაადეკვატურობით, დარღვევების აღმოფხვრისათვის მენეჯმენტის უმოქმედობით, სხვა საფრთხის შემცველი ქმედებით) შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას კომერციული ბანკის ან საბანკო სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას, კომერციული ბანკის მეანაბრეთა ან სხვა კრედიტორთა ინტერესებს. 2. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში აღინიშნება: ა) დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის საფუძვლები; ბ) დროებითი ადმინისტრატორის (ადმინისტრატორების) სახელი და გვარი; გ) დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა;

			დ) გაფრთხილება ბანკის კლიენტთა ანაბრებისა და სხვა სახსრების შესაძლო გაყინვის შესახებ; ე) ზომები, რომლებიც გამოიყენება ბანკის ადმინისტრატორების მიმართ. 3. დროებითი ადმინისტრაცია მოვალეობათა შესრულებას იწყებს დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული დღიდან. გადაწყვეტილება ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში. 4. დროებითი ადმინისტრატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის დღისა, აცნობოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღების შესახებ იმ საგადახდო სისტემის ოპერატორს, რომლის სისტემის მონაწილეც არის კომერციული ბანკი, რომელსაც დროებითი ადმინისტრაცია მართავს. 5. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დღიდან დაუშვებელია ნებისმიერი ქმედების განხორციელება კომერციული ბანკის სახელით და მის ხარჯზე დროებითი ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

			6. დროებით ადმინისტრატორზე გადადის კომერციული ბანკის ყველა ორგანოს (მათ შორის, აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრატორების) სრული უფლებამოსილება. 7. დროებითი ადმინისტრატორი ვალდებულია უმოკლეს ვადაში აღძრას შუამდგომლობა ეროვნული ბანკისთვის წარდგენილ თანამდებობის პირთა სიაში აუცილებელი ცვლილების შეტანის შესახებ. 8. ეროვნული ბანკის მიერ დანიშნულ დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს, მიიღოს კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის აუცილებელი ზომები, მისი ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ქვედანაყოფების გაყიდვის ან დახურვის, ბანკის მოსამსახურეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების ჩათვლით. დროებითი ადმინისტრატორი ასევე უფლებამოსილია მოახდინოს კომერციული ბანკის სხვა კომერციულ ბანკთან შერწყმა, მისი კაპიტალის განახლება ან მისი აქტივებისა და ვალდებულებების ან მათი ნაწილის სხვა კომერციულ ბანკზე გასხვისება. დროებითი ადმინისტრატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების

			შესახებ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. 9. კომერციული ბანკის დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს, კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის ნებისმიერ მომენტში მთლიანად ან ნაწილობრივ მოახდინოს ბანკში ფიზიკური და იურიდიული პირების ნებისმიერი ფულადი სახსრების ბლოკირება დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადით, იმ პირობით, რომ მიიღებს აუცილებელ ზომებს მათი სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად, თუ ეს არ ეწინააღმდეგება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. 10. კომერციული ბანკის დროებითი ადმინისტრატორი უფლებამოსილია, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის თარიღამდე 1 წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვოს მისი ბათილობა, თუ ამის შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირებმა ამ კომერციული ბანკის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით,

			პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია კომერციული ბანკისათვის ან მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება. 11. დროებითი ადმინისტრაცია უქმდება: ა) მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, რის შესახებაც ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში; ბ) ეროვნული ბანკის დასაბუთებული გადაწყვეტილებით; გ) ბანკისათვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში. 12. 2021 წლის 1 იანვრამდე შემოღებული დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი სრულდება ამ მუხლით გათვალისწინებული წესით. 13. ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 ივლისის №173/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესის“ შესაბამისად. **მუხლი 5.** 1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული 30[1] მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

			2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული 30[1] მუხლი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.“.
		საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	
		„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შესაბამის გადამუშავებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის პრეამბულა, კერძოდ, ამოღებულ უნდა იქნეს მითითება „სპეციალურ დაფინანსებაზე“.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს მიერ სახელმწიფო ვალის აღებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს. ეს კანონი არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გარანტიის გაცემაზე, რომლის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით.“.
		საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	

		იმის გათვალისწინებით, რომ დროებითი ბანკის გარდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ასევე უფლებამოსილია შეიძინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის წილი, შესაბამისი ცვლილება უნდა აისახოს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტში.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ნ) კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაფუძნებულ დროებით ბანკზე, ასევე რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის წილზე, რომელთან დაკავშირებული ურთიერთობებიც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.
		საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	
		„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, კორექტირებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 60^1 მუხლის 7^1 ნაწილი და მასში მითითება უნდა გაკეთდეს ფაქტობრივად დამდგარ ზიანზე.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 60^1 მუხლის 7^1 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „7^1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების გამოყენების ფარგლებში მიღებული

			ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლომ ეროვნულ ბანკს შესაძლოა დააკისროს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. დაუშვებელია აქტის ბათილად ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, თუ აქტის ბათილად ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას.“.
	საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	**საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	
		საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში წარმოდგენილი „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით წარმოდგენლი კოდექსის 60^1 მუხლის 7^1 ნაწილი ითვალისწინებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ბლანკეტურ აკრძალვას ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების გამოყენების ფარგლებში მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ აქტის ბათილად ცნობისას უპირატესი ინტერესი იმ პირისათვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაა, რომელსაც უკანონო აქტის მოქმედება შეეხო. მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას, შექმნილ ღირებულებათა კონფლიქტში, აღნიშნული ინტერესი შესაძლებელია გადაწონილ იქნეს მომეტებული საჯარო ინტერესით. თუმცა, წარმოდგენილი დებულებები ითვალისწინებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ბლანკეტურ აკრძალვას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი არ იწვევს განსაკუთრებულ ზიანს რეზოლუციის პროცესის ან მისი მონაწილე	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** კანონპროექტით წარმოდგენილი, კოდექსის 60^1 მუხლის 7^1 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „7^1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების გამოყენების ფარგლებში მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლომ ეროვნულ ბანკს შესაძლოა დააკისროს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. დაუშვებელია აქტის ბათილად

Formatted: Georgian

		მხარისათვის. აღსანიშნავია, რომ იმავე შინაარსის ნორმა გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტში, რომელშიც უფრო დაზუსტებულია აქტის ბათილად ცნობის დაუშვებლობის მიზეზი. მიზანშეწონილია, კანონის ტავტოლოგიის თავიდან არიდების მიზნით, ცვლილება შევიდეს ერთ სამართლებრივ აქტში. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს მატერიალური სამართლის ნორმა, რის გამოც, საპროცესო კოდექსში 4[1] მუხლის დამატება მიზანშეუწონელია.	ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, თუ აქტის ბათილად ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას.“. იმის გათვალისწინებით, რომ აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ რეგულირებას ადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიც, ასევე საკითხის მნიშვნელობიდან და არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში უნდა შენარჩუნდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის აკრძალვასთან დაკავშირებული რეგულირება. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული მიდგომა შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას (Banking Recovery and Resolution Directive 2014/59/EU), რომლის 85-ე მუხლის თანახმად, სარეზოლუციო უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება უნდა ექვემდებარებოდეს შემდეგ დებულებებს: ა) გასაჩივრება არ უნდა იწვევდეს გასაჩივრებული აქტის მოქმედების ავტომატურად შეჩერებას; ბ) რეზოლუციის განმახორციელებელი უწყების გადაწყვეტილება უნდა იყოს

			დაუყოვნებლივ აღსრულებადი და უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ მისი მოქმედების შეჩერება საჯარო ინტერესს ეწინააღმდეგება. ამასთან, (კეთილსინდისიერი მესამე პირების ინტერესების დაცვის მიზნით, რომელთაც სარეზოლუციო უწყების მიერ სარეზოლუციო ინსტრუმენტების ან სარეზოლუციო უფლებამოსილებების გამოყენების ფარგლებში შეიძინეს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ინსტიტუტის აქციები, მფლობელობის სხვა ინსტრუმენტები, აქტივები, უფლებები ან ვალდებულებები), სარეზოლუციო უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება არ უნდა ახდენდეს გავლენას შემდგომ მიღებულ ადმინისტრაციულ აქტებსა და ტრანზაქციებზე, რომლებიც გაუქმებულ გადაწყვეტილებას ეფუძნება. ამ შემთხვევაში, უკანონო გადაწყვეტილების ან ქმედებისათვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ კომპენსაცია იმ ზარალისათვის, რაც მოსარჩელეს მიადგა ასეთი გადაწვეტილების ან ქმედების შედეგად.
	საქართველოს ეროვნული ბანკი	**საქართველოს კანონის პროექტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**	
		კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-4 მუხლის 1^1 პუნქტი გასამართია იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, კერძოდ, უნდა ჩამოყალიბდეს მე-4 მუხლის 3^1 პუნქტის სახით და გადამუშავდეს.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-4 მუხლს 1^1 პუნქტის

			ნაცვლად დაემატა შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი : „3^1. საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკი შესაძლოა გათავისუფლდეს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებისგან, თუ ეს აუცილებელია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რეზოლუციის მიზნების მისაღწევად.“.
		დამატებითი კონსულტაციების გავლის საფუძველზე, კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-11 მუხლის მე-10 პუნქტი, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-14 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს კანონპროექტიდან.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტი კანონის მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის დამატებას აღარ ითვალისწინებს.
		დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე და Banking Recovery and Resolution Directive-ის გათვალისწინებით, კორექტირებას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-18 მუხლის 3^2 პუნქტი.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-18 მუხლის 3^2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3^2. თუ, რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების ან დროებითი ბანკის ინსტრუმენტის გამოყენებისას შემძენი არ აკმაყოფილებს საფონდო ბირჟის წევრობის კრიტერიუმებს, საგამონაკლისო სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით მისი საფონდო ბირჟის წევრობა შესაძლებელია არაუმეტეს 24 თვისა.“.

Formatted: Georgian

		საქართველოს კანონი პროექტი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	
		კანონპროექტში უნდა განხორციელდეს ტექნიკური ცვლილება, კერძოდ, კანონს პირველი მუხლის მე-4 პუნქტი უნდა დაემატოს პირველი მუხლის მე-5 პუნქტის სახით.	**გათვალისწინებულია**
		იმის გათვალისწინებით, რომ დროებითი ბანკის დაფუძნების გარდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ასევე უფლებამოსილია შეიძინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის წილი, შესაბამისი ცვლილება უნდა აისახოს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტში.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „11. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების პრივატიზება ხორციელდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით პრივატიზების შემთხვევისთვის საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წილების ან აქციების მფლობელთა ამ კანონით დადგენილისაგან განსხვავებულ უფლება-მოვალეობებს,

			რამაც არ უნდა ხელყოს დივიდენდის მიღების უფლება. ეს პუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაფუძნებული დროებითი ბანკის აქციების, ასევე რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის წილის გასხვისებაზე, რაც ხორციელდება სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.
		ანალოგიური შენიშვნა გასათვალისწინებელია კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის მიმართ.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „10. იმ საწარმოს ლიკვიდაციის წესს, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. ეს პუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაფუძნებული დროებითი ბანკის, ასევე რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ლიკვიდაციაზე,

			რაც ხორციელდება სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.
		საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	
		იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე დადგინდა, რომ ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის ცვლილებით მიიღწევა იგივე შედეგი, რაც კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსისათვის დამატებული 186^1, 371^1 და 398^1 მუხლებით დგინდება, საქმის წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით ერთი და იგივე შინაარსის რამდენიმე მუხლის დადგენა თითოეული ინსტანციისათვის არ არის მიზანშეწონილი. აქედან გამომდინარე ცვლილებას აღარ მოითხოვს კოდექსის 62-ე მუხლიც.	**გათვალისწინებულია.** კანონპროექტი კოდექსის 62-ე მუხლის ცვლილებას და 186^1, 371^1 და 398^1 მუხლების დამატებას აღარ ითვალისწინებს.
		იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტი აღარ გაითვალისწინებს 186^1, 371^1 და 398^1 მუხლების დამატებას, 279-ე მუხლში საჭიროა აისახოს ის დამატებითი დებულებები, რასაც ითვალისწინებდა 186^1, 371^1 და 398^1 მუხლების შინაარსი, კერძოდ, საჭიროა დაზუსტდეს, რომ საქმის წარმოება ჩერდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის შემდგომ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ დაწყებულ საქმეებზე. ამ შემთხვევაში ჩერდება ასევე შუამდგომლობათა განხილვის ვადის დინება. აგრეთვე, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 1 დღის ვადაში. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული 24-საათიანი ვადის ნაცვლად უნდა მიეთითოს 1 დღის ვადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არგუმენტირებული შემდეგი მიზეზების გამო: ღონისძიების გადაუდებელი ხასიათის მიუხედავად, მიმართვის განხილვისათვის 24-საათიანი ვადის	**გათვალისწინებულია.** კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 279-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ზ) თუ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ არსებულ საქმეთა წარმოების შეჩერების მოთხოვნით სასამართლოს მიმართავს საქართველოს ეროვნული ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქმის წარმოება ჩერდება საქართველოს ეროვნული

		დაწესება არ არის მიზანშეწონილი საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა განხილვისათვის საერთო სასამართლოებში არ არის დადგენილი არასამუშაო დღეებში მოსამართლეთა მორიგეობა. საქმის განხილვის 24-საათიანი ვადის დადგენისას დღის წესრიგში დადგება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მორიგეობის დადგენის საკითხი, რაც გადატვირთავს სასამართლოებს. ასეთი მოცემულობის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, მსგავსი მიმართვის განხილვა განხორციელდეს 1 დღის ვადაში.	ბანკის მიმართვის შემდგომ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ დაწყებულ საქმეებზე. ამ შემთხვევაში ჩერდება ასევე შუამდგომლობათა განხილვის ვადის დინება. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 1 დღის ვადაში.“.
		როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონპროექტით გათვალისწინებული 24-საათიანი ვადის ნაცვლად, სასამართლოს მიერ განჩინების გამოსატანად გათვალისწინებულ უნდა იქნეს 1 დღის ვადა. მსგავს ცვლილებას საჭიროებს კანონპროექტით დამატებული კოდექსის 191-ე მუხლის მე-7 ნაწილი. ამასთან, საჭიროა დაზუსტდეს, რომ თუ რეზოლუციის რეჟიმი დასრულდება განჩინებაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც გააუქმებს შეჩერების თაობაზე განჩინების მოქმედებას.	**გათვალისწინებულია.** კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 191-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „7. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე, ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება, ხოლო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოქმედება ჩერდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. მოსამართლე განჩინებას გამოიტანს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 1 დღის განმავლობაში. თუ რეზოლუციის

			რეჟიმი დასრულდება განჩინებაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც გააუქმებს შეჩერების თაობაზე განჩინების მოქმედებას.“.
		კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 281-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განისაზღვრება საქმის წარმოების შეჩერების ხანგრძლივობა საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის მიმართვაში მითითებული ვადით. ვინაიდან სასამართლო იღებს საქმის განხილვის შეჩერების შესახებ განჩინებას, საქმის წარმოების შეჩერების ხანგრძლივობად დადგინდეს სასამართლოს განჩინებაში მითითებული ვადა, თუმცა იგი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის მიმართვაში მითითებულ ვადას, ამასთანავე არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 281-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ზ) ამ კოდექსის 279-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სასამართლოს განჩინებაში მითითებული ვადით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის მიმართვაში მითითებულ ვადას, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. თუ რეზოლუციის რეჟიმი დასრულდება განჩინებაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც გააუქმებს შეჩერების თაობაზე განჩინების მოქმედებას.“.
	საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	**საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	
		„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 186[1],	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ**

		371[1] და 398[1] მუხლების რედაქცია ითვალისწინებს სარჩელის განხილვის გადავადებას. კერძოდ, მოსამართლე რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ სარჩელის წარმოებაში მიღების შემთხვევაში ეროვნული ბანკის მიერ მიმართვის საფუძველზე არ ახორციელებს კოდექსით გათვალისწინებულ საპროცესო მოქმედებებს და აჩერებს საქმის განხილვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში მითითებული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 90 დღისა. სწრაფი მართლმსაჯულება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნით, ამ მიზნის აუცილებელი, გამოსადეგი და პროპორციული საშუალებით. წარმოდგენილ შემთხვევაში კანონპროექტი ითვალისწინებს საქმის განხილვის შეჩერებას ბლანკეტურად, შესაბამისი საჭიროების დასაბუთების გარეშე, ხოლო მოსამართლეს ნაცვლად სასამართლო კონტროლის განხორციელებისა, ფორმალურად, ეროვნული ბანკის მიმართვის თავის განჩინებაში ასახვის ფუნქცია გააჩნია. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, კანონპროექტში მოხდეს გადადების კონკრეტული საფუძვლების ასახვა, რაზეც შემდგომში გავრცელდება სასამართლო კონტროლი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ ყველა შემთხვევაში, კანონპროექტის მიხედვით, დაუშვებელია განჩინების გასაჩივრება, რაც აჩენს ნორმის არაკონსტიტუციურობის ეჭვს იმდენად, რამდენადაც სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.	„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი არ საჭიროებს 186[1], 371[1] და 398[1] მუხლების დამატებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომენტარების შესაბამისად. ცვლილების შინაარსი შეთანხმებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, რომლის მხრიდანაც დამატებით არ დაფიქსირებულა შენიშვნა სამართლიანი სასამართლოსა და სწრაფი მართლმსაჯულების შეზღუდვის კუთხით. ამასთან, რაც შეეხება კონკრეტულ საფუძვლებს, რეზოლუციის რეჟიმის შემოღება, თავის მხრივ, ეფუძნება ორგანული კანონით დადგენილ მიზნებს, პროპორციულობის პრინციპს და უკავშირდება საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფასა და შესაბამისად, საჯარო ინტერესს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი ყოველთვის არსებობს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სახეზე გვაქვს საქმეთა განხილვის მაქსიმუმ მხოლოდ 90 დღით შეჩერება. მორატორიუმის დაწესება შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკასაც, კერძოდ ევროკავშირის დირექტივასა და FSB-ის სარეზოლუციო პრინციპებს. მაგალითად, ევროკავშირის დირექტივა ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თუ საჭიროა სარეზოლუციო ინსტრუმენტებისა და

			უფლებამოსილებების გამოყენებისათვის, სარეზოლუციო უწყებებს ჰქონდეთ უფლებამოსილება, მიმართონ სასამართლოს **იმ ნებისმიერი სასამართლო ქმედების ან პროცესის შესაბამისი პერიოდით შეჩერების თაობაზე,** რომლის მონაწილე არის ან გახდება რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ინსტიტუტი. აგრეთვე, აღნიშნული ცვლილებების შინაარსი შემოთავაზებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ რეზოლუციის ერთ-ერთი მთავარია პრინციპია, რომ კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი იზარალებდნენ ლიკვიდაციის შემთხვევაში. აღნიშნული უზრუნველყოფილია რეზოლუციის საბოლოო შედეგით, რომელიც ითვალისწინებს ცდომილების შემთხვევაში კომპენსაციების გაცემას სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე სარეზოლუციო ფონდიდან. შესაბამისად, მხარეთა ინტერესები გარკვეულწილად დაცულია, ხოლო აღნიშნული მექანიზმი არის აუცილებელი სარეზოლუციო უფლებების ეფექტურად და შეუფერხებლად განხორციელებისათვის. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის შენიშვნების გათვალისწინებით, საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე

			განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობას წარმოდგენილი კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს.
		„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 191-ე მუხლის მე-7 ნაწილის რედაქციის მიხედვით, ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება, ხოლო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოქმედება ჩერდება რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ არაუმეტეს 90 დღისა. მოსამართლე განჩინებას გამოიტანს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში. უპირველეს ყოვლისა, მსგავსად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ცვლილებისა, ნორმის განჭვრეტადობის მიზნით, მიზანშეწონილია დაზუსტდეს 90 დღის განმავლობაში უზრუნველყოფის ღონისძიების მოქმედების შეჩერება მიემართება სასამართლოს დისკრეციას განსაზღვროს ის თარიღი, რომლიდანაც მოხდება უზრუნველყოფის ღონისძიების შეჩერება თუ აღნიშნული წარმოადგენს ასეთი ღონისძიების მოქმედების შეჩერების კანონით დადგენილ ვადას.	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** კანონპროექტით გათვალისწინებული, კოდექსის 191-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „7. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე, ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება, ხოლო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოქმედება ჩერდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. მოსამართლე განჩინებას გამოიტანს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 1 დღის განმავლობაში.“. კანონპროექტში დაკონკრეტებულია, რომ შეჩერება შესაძლოა ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც, თავის მხრივ, არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს და ეფუძნება რეზოლუციის რეჟიმის

			სპეციფიკიდან გამომდინარე ეროვნული ბანკის შეფასებას, პროპორციულობის პრინციპის სავალდებულოდ გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეზოლუციის რეჟიმში, ამ რეჟიმის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აკრძალვის კონკრეტული საფუძვლების ასახვა შეუძლებელია. ამასთან, მორატორიუმი უნდა ეხებოდეს უზრუნველყოფის ყველა ღონისძიებას, რადგან ძნელი წარმოსადგენია ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელი ცალკეული ღონისძიების გამოყენება შეიძლება იყოს თავსებადი რეზოლუციასთან.
		საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი იმ საგამონაკლისო პირობებს, რომელთა არსებობისას, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს წარმოება. ასეთი საფუძვლები უკავშირდება რომელიმე მხარის მიერ, საკუთარი უფლების სასამართლოში დაცვის ობიექტურ შეუძლებლობას, სხვა ორგანოს მიერ აღნიშნული დავის არსებითი ნაწილის განხილვას ან დავის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას და ასეთი შეჩერების ვადები დაკავშირებული კონკრეტული გარემოების აღმოფხვრასთან. წარმოდგენილი კანონპროექტით, აღნიშნულ საფუძვლებს ემატება, ეროვნული ბანკის მიმართვა რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ არსებულ საქმეთა წარმოების შეჩერების თაბაზე, ხოლო ასეთი შეჩერების ვადა სრულადაა დაკავშირებული ეროვნული ბანკის დისკრეციასთან. სწრაფი მართლმსაჯულება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მნიშვნლეოვანი ლეგიტიმური	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ.** კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 281-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ზ) ამ კოდექსის 279-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სასამართლოს განჩინებაში მითითებული ვადით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის მიმართვაში მითითებულ ვადას, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. თუ რეზოლუციის რეჟიმი დასრულდება განჩინებაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკი

		მიზნით, ამ მიზნის აუცილებელი, გამოსადეგი და პროპორციული საშუალებით. წარმოდგენილ შემთხვევაში კანონპროექტი ითვალისწინებს საქმის განხილვის შეჩერებას ბლანკეტურად, შესაბამისი საჭიროების დასაბუთების გარეშე, ხოლო მოსამართლეს, ნაცვლად სასამართლო კონტროლის განხორციელებისა, ფორმალურად, ეროვნული ბანკის მიმართვის თავის განჩინებაში ასახვის ფუნქცია გააჩნია. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, კანონპროექტში მოხდეს როგორც შეჩერების კონკრეტული საფუძვლების ასახვა, ისე შეჩერების ვადა შეიზღუდოს კონკრეტული ობიექტური პერიოდით, რომელიც დაკავშირებული იქნება რეზოლუციის პროცესთან და რაზეც შემდგომში გავრცელდება სასამართლო კონტროლი.	ვალდებულია შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც გააუქმებს შეჩერების თაობაზე განჩინების მოქმედებას.“. დაზუსტებულია, შეჩერების მაქსიმალური ვადა. გასათვალისწინებელია, რომ ცვლილების შინაარსი შეთანხმებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, რომლის მხრიდანაც არ დაფიქსირებულა შენიშვნა სამართლიანი სასამართლოსა და სწრაფი მართლმსაჯულების შეზღუდვის კუთხით. ამასთან, რაც შეეხება კონკრეტულ საფუძვლებს, რეზოლუციის რეჟიმის შემოღება, თავის მხრივ, ეფუძნება ორგანული კანონით დადგენილ მიზნებს, პროპორციულობის პრინციპს და უკავშირდება საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი ყოველთვის არსებობს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სახეზე გვაქვს საქმეთა განხილვის მაქსიმუმ მხოლოდ 90 დღით შეჩერება. მორატორიუმის დაწესება შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკასაც.
		აღსანიშნავია, რომ შესაძლოა ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე შეჩერებული ღონისძიების საფუძვლები შეიცვალოს ან აღარ არსებობდეს, რის გამოც საქმის განხილვის ან უზრუნველყოფის	**გათვალისწინებულია.**

		ღონისძიების შეჩერება (მორატორიუმი) უსაფუძვლო და გაუმართლებელი იყოს. ასეთ შემთხვევებში სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია და გამოსცეს განჩინება შეჩერების ღონისძების გაუქმების თაობაზე. აქედან გამომდნარე, უმჯობესია, კანონით გათვალისწინებული იყოს ეროვნული ბანკის ვალდებულება, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს შეჩერების შესახებ განჩინების გაუქმება, თუკი მისი საფუძვლები აღარ არსებობს	კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 281-ე მუხლს „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ზ) ამ კოდექსის 279-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სასამართლოს განჩინებაში მითითებული ვადით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის მიმართვაში მითითებულ ვადას, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. თუ რეზოლუციის რეჟიმი დასრულდება განჩინებაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც გააუქმებს შეჩერების თაობაზე განჩინების მოქმედებას.“.
		ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სასამართლოს ჩამორთმეული აქვს მაკონტროლებელი ფუნქცია და მას უწევს ეროვნული ბანკის მოთხოვნის საფუძველზე გამოსცეს განჩინება, რისი გონივრულობა და მიზანშეწონილობაც საეჭვოა. ასევე, პრობლემურია შეჩერების ღონისძიებების გასაჩივრების დაუშვებლობა იმდენად, რამდენადაც შეჩერება (საქმის განხილვის, უზრუნველყოფის ღონისძიების მოქმედების) გავლენას ახდენს მხარის უფლებაზე, მისი გასაჩივრების აკრძალვა კი ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას.	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** იურიდიულ საკითხთა კომიტეტის შენიშვნების გათვალისწინებით, საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობას წარმოდგენილი კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს. როგორც აღინიშნა, ცვლილებები შეთანხმებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან და მათგან მსგავსი შინაარსის კომენტარი არ დაფიქსირებულა. რეზოლუციის რეჟიმი საჭიროებს სწრაფ მიმდინარეობას, რაც, თავის მხრივ, მორატორიუმის

			შემოღების შესაძლებლობასაც უნდა ადგენდეს. ამასთან, რაც შეეხება შეჩერების თაობაზე მიმართვის კონკრეტულ საფუძვლებს, რეზოლუციის რეჟიმის შემოღება, თავის მხრივ, ეფუძნება ორგანული კანონით დადგენილ მიზნებს, პროპორციულობის პრინციპს და უკავშირდება საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფასა და შესაბამისად, საჯარო ინტერესს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი ყოველთვის არსებობს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სახეზე გვაქვს საქმეთა განხილვის მაქსიმუმ მხოლოდ 90 დღით შეჩერება. მორატორიუმის დაწესება შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკასაც, კერძოდ ევროკავშირის დირექტივასა და FSB-ის სარეზოლუციო პრინციპებს. აგრეთვე, აღნიშნული ცვლილებების შინაარსი შემოთავაზებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ რეზოლუციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი იზარალებდნენ ლიკვიდაციის შემთხვევაში. აღნიშნული უზრუნველყოფილია რეზოლუციის საბოლოო შედეგით, რომელიც ითვალისწინებს ცდომილების შემთხვევაში კომპენსაციების გაცემას სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე

			სარეზოლუციო ფონდიდან. შესაბამისად, მხარეთა ინტერესები გარკვეულწილად დაცულია, ხოლო მორატორიუმი არის აუცილებელი სარეზოლუციო უფლებების ეფექტურად და შეუფერხებლად განხორციელებისათვის.
	საქართველოს ეროვნული ბანკი	**საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	
		ვინაიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტით დაზუსტდა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს მიუღებელი შემოსავალის ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების ვალდებულება უნდა ეხებოდეს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარ ზიანს, შესაბამისად უნდა დაზუსტდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული კოდექსის 32-ე მუხლის 4^1 ნაწილიც.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით გათვალისწინებული, კოდექსის 32-ე მუხლის 4^1 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4^1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების გამოყენების ფარგლებში მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, დაუშვებელია აქტის ბათილად ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, თუ აქტის ბათილად ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ ეროვნულ ბანკს შესაძლოა დააკისროს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება.“.

		საქართველოს კანონის პროექტი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	
		ვინაიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტით დაზუსტდა, რომ დროებითი ბანკის ლიცენზირების წესი უნდა ამარტივებდეს მხოლოდ პროცედურულ და არა შინაარსობრივ მოთხოვნებს, შესაბამის შესწორებას საჭიროებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.	**გათვალისწინებულია.** კანონპროექტით გათვალისწინებული, კანონის 9^2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 9^2. დროებითი ბანკის საბანკო საქმიანობის ლიცენზია** „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დროებით ბანკზე საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემისას საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს ამ კანონისაგან განსხვავებული ან/და გამარტივებული პროცედურა.“.
	საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	**საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	
		„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 153-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ეროვნული ბანკის მომართვის საფუძველზე, არ შეიძლება ყადაღა დაედოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ქონებას და მასთან არსებულ საბანკო ანგარიშებს, ხოლო ყადაღადადებულ ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე უნდა შეჩერდეს ყადაღის მოქმედება 90 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ საკითხზე მოსამართლე განჩინებას გამოიტანს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში. აღნიშნულ კონტექსტში ნორმის განჭვრეტადობის მიზნით, მიზანშეწონილია დაზუსტდეს 90 დღის განმავლობაში ყადაღის მოქმედების შეჩერება მიემართება სასამართლოს	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით გათვალისწინებული, კოდექსის 153-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. საქართველოს ეროვნული ბანკის მომართვის საფუძველზე, არ შეიძლება ყადაღა დაედოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რეზოლუციის რეჟიმში

		დისკრეციას, განსაზღვროს ის ვადა, რა ფარგლებშიც შესაძლებელია ყადაღის შეჩერება თუ აღნიშნული წარმოადგენს ყადაღის მოქმედების შეჩერების კანონით გათვალისწინებულ ზოგად ვადას.	მყოფი კომერციული ბანკის ქონებას და მასთან არსებულ საბანკო ანგარიშებს, ხოლო ყადაღადადებულ ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე უნდა შეჩერდეს ყადაღის მოქმედება საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში მითითებული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს. მოსამართლე განჩინებას გამოიტანს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში. თუ რეზოლუციის რეჟიმი დასრულდება განჩინებაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც გააუქმებს შეჩერების თაობაზე განჩინების მოქმედებას.“;
	საქართველოს ეროვნული ბანკი	**საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**	
		ვინაიდან დაზუსტდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებებით გათვალისწინებული ფორმულირებები, საჭიროა მსგავსად აისახოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებაშიც.	**გათვალისწინებულია.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 12^3 ნაწილი: „12^3. საქართველოს ეროვნული ბანკის მომართვის საფუძველზე, ამ თავით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, დაუყოვლებლივ ჩერდება ან არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული

			ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. თუ რეზოლუციის რეჟიმი დასრულდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შეატყობინოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განაახლოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.“.
		საქართველოს კანონის პროექტი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	
		ვინაიდან დაზუსტდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებებით გათვალისწინებული ფორმულირებები, საჭიროა მსგავსად აისახოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებაში. ამასთან, კანონპროექტში უნდა განხორციელდეს ტექნიკური ცვლილება, კერძოდ, კანონის 2^1 მუხლს უნდა დაემატოს მე-7 და მე-8 პუნქტები, ნაცვლად მე-6 და მე-7 პუნქტებისა.	**გათვალისწინებულია.** კანონპროექტით გათვალისწინებულ, კანონის 2^1 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები: „7. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე, ამ კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული

			ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს. 8. კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - საკრედიტო კავშირის და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - საკრედიტო კავშირის და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიმართ მიმდინარე ამ კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.“; კანონპროექტით გათვალისწინებულ, კანონის 36-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

			„4. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიურო დაუყოვნებლივ აჩერებს აღსრულებას „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს. თუ რეზოლუციის რეჟიმი დასრულდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შეატყობინოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც უფლებამოსილია განაახლოს წარმოება.“.